საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ხუთშაბათი-პარასკევი, 24-25 სექტემბერი. 2020 წ. №118 (9044) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრის გაფანა ყვეყა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ეროვნული გაკრეფილები,



ანუ მკვდრის გაცოცხლება შეუძლებელია!

ჩვენი ხალხის მეხსიერებაში უთუოდ შემორჩენილია ის სამარცხვინო დამარცხება, ჰალსტუხიჭამია ვაიპრეზიდენტის მხედართმთავრობით რომ განიცადა ქვეყანამ, მაგრამ ნაციონალებმა ხალხს მაინც გამარჯვება აზეიმეს. ასე იყო თითქმის ყველა საქმეში. როგორც იტყვიან, ასეთია უკვე პოლიტიკურად გაკოტრებულ ნაციონალთა ხელწერა დღესაც, როცა საქართველო 31 ოქტომბრის ისტორიული არჩევნებისთვის ემზადება.

ეგრეთ წოდებულ გაერთიანებულ ოპოზიციას ისევ და ისევ სხვათა ქვეყანაში გადახვეწილი დამნაშავე სააკაშვილი ესპასალარება, რომელიც ახლა პრემიერ-მინისტრად დაბრუნებას აპირებს, ზუსტად ისე, ერთ შარვალჩასვრილ გზირს სოფელში რომ არ აყენებდნენ და ის კი მამასახლისობას ითხოვდა. რაც მთავარია, თვითონ ეს ეგრეთ წოდებული ოპოზიცია არ აღიარებს სააკაშვილს თავის თავკაცად, ხოლო თვითონ ოპოზიციის უმთავრესი და ერთადერთი იარაღი არჩევნებში გამარჯვების მოსაპოვებლად „ოცნების“ თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილის აღვირახსნილი, პირმოხეული ლანძღვა-გინებაა.

ამ ფუყე და მოლაყლაყებულ გაერთიანებაში შემავალი პარტიების ყველა ვაილიდერს პირზე აკერია მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის გვარსახელი. თითქმის ყველა სატელევიზიო ეკრანიდან ხმის ჩახლეჩამდე გაჰკივიან, რომ 31 ოქტომბერს სამარცხვინოდ დაამარცხებენ „ოცნებას“, კერძოდ, ოლიგარქ ივანიშვილს, რომლის პარტიასაც რვა წლის განმავლობაში თურმე თითზე გადასახვევი არაფერი არ გაუკეთებია, რაც ქვეყანაში შეამცირებდა უმუშევრობას, სიღარიბეს და უკუსვლას.

არადა, ყველა საერთაშორისო ავტორიტეტული ორგანიზაციის აზრით, საქართველომ ამ რვა წლის მანძილზე უმუშევრობაც შეამცირა, სიღარიბეც და მთელი მსოფლიოს დასანახად აშკარად გადაიძცა განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყნად. განა ამ ეგრეთ წოდებულმა გაერთიანებულმა ოპოზიციამ არ იცის, რომ ეს ასეა, მაგრამ ისიც იცის, რომ ამის აღიარება დამარცხებასთან ჭრის და ამიტომ მთელი ოცდაოთხი საათი

ამომრჩეველს იმას ეჩიჩინება, რომ არჩევნებში თუ არა ოპოზიციის და, კერძოდ, ნაციონალების გამარჯვება, ძვეყანა უფსკრულისკენ გადაიჩეხება.

პოლიტიკურად გაკოტრებულმა ოპოზიციამ ისიც კარგად იცის, რომ მთელ ხალხს ვერ დააჯერებს თავის ტყუილებსა და ცილისწამებას, მაგრამ გარკვეული ნაწილი ხომ დაიჯერებს, ასიდან თუნდაც ნახევარს მაინც. სწორედაც ამის იმედით არიან ენად გაკრეფილები, და ყველას ენას თუ ერთმანეთს გადავაბამდით, ეს საერთო გატლეკილი დაგრძელებული ოპოზიციური ენა, ალბათ, რამდენჯერმე, შემოერტყმებოდა დედამიწას. მაგრამ ვაი, რომ ვერც ეს უშველის აშკარა დამარცხებისთვის განწირულ ოპოზიციას, რომლისაც ხალხს უკვე აღარ სჯერა, რადგან ამ ქვეყანაზე გადამტერებულთაგან და ოდენ ხელისუფლების ხელში ჩაგდების მოსურნეთაგან განსხვავებით, მთელი საქართველო ცხადად ხედავს იმ არაერთ სიკეთეს, რასაც „ოცნებამ“ თავი დაადგა ამ რვა წლის განმავლობაში.

სოფელი ერთ დღეში არ აშენებულა, და თუ კვლავაც მშვიდობა იქნება, ქვეყნის განვითარებას ვერავითარი მტრული ძალა ვერ შეაფერხებს.

ამ აშკარად ქვეყნის მტრულ ძალას კი ისლა დარჩენია, რომ 31 ოქტომბერზე მეტად 1 ნოემბრისთვის ემზადოს, რათა, როგორც სჩვევია, წინადღის დამარცხება ისევ და ისევ გამარჯვებად გაასაღოს იმის ძახილით, რომ „ოცნებამ“ და, კერძოდ, ივანიშვილმა არჩევნები გააყალბა...

მაგრამ მკვდრის გაცოცხლება შეუძლებელი საქმეა!

თანაც, ახლა 2008 წელი კი არა, 2020 წელია!..

პრემიერი ვერც საკაშვილი გახდება, ვერც ბოკერია და ვერც ვაშაძე ②

ქართული ბანკები საერთაშორისო ჟურნალისტურ გამოძიებაში მოხვდნენ ③

COVID-19 აფხაზეთში: ვინაა მტერი, ვინ - მეგობარი ⑤

კაი ყმა ⑦

ლიდერობისთვის დაბადებული... ბორის ფოცხვერაშვილი

პრემიერი ვერც საკაშვილი გახდება, ვერც ბოკერია და ვერც ვაშაძე

სადაა ძაღლის თავი დამარხული?!

რა შემთხვევაში ეძლევა პოლიტიკურ ძალას 2020 წლის ახალ პარლამენტში მთავრობის ფორმირებისა თუ საკუთარი პრემიერობის კანდიდატის გაყვანის შესაძლებლობა და აქვს თუ არა ოპოზიციას შანსი, შექმნას კოალიციური მთავრობა?

– ამ მნიშვნელოვანი საკითხის გადამოწმება „2020NEWS“-მა კონსტიტუციონალისტთან გადაწყვიტა, რადგან ახალ საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად, ისე არ არის საქმე, როგორც ამას ოპოზიცია წარმოაჩენს და ყველას არ შეუძლია საკუთარი პრემიერობის კანდიდატი არათუ გაიყვანოს, არამედ წამოაყენოს კიდეც.

საგენტოსთან საუბრისას კონსტიტუციონალისტმა, „ლელო საქართველოსთვის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის საარჩევნო ოლქში **გიორგი სიორიძემ** განმარტა, რომ მთავრობის ფორმირების უფლება მხოლოდ საპარლამენტო არჩევნებში პირველ ადგილზე გასულ პარტიას ეძლევა, თუმცა წარუმატებელი ცდის შემთხვევაში, შესაძლებლობა უკვე სხვა ძალას გაუჩნდება.

– „კონსტიტუციის მიხედვით, საპარლამენტო არჩევნებში პირველ ადგილზე გასული პარტია, მიუხედავად იმისა, თუ რამდენ პროცენტს მიიღებს ის, იღებს პრივილეგიას, რომ თვითონ შექმნას კოალიცია.

– იმ შემთხვევაში, თუ პირველ ადგილზე გასულმა პოლიტიკურმა ძალამ 50%+1 ხმა, ანუ 76 ხმა თუ ვერ შეაგროვა, ამ შემთხვევაში ინიციატივა გადადის სხვა ძალებზე“, – განაცხადა გიორგი სიორიძემ.

– შესაბამისად, გამოდის, რომ თუ მაგალითად, „ქართული ოცნება“ გავა პირველ ადგილზე, მას შეუძლია შექმნას კოალიცია, ან საჭირო ხმები აიღოს არჩევნებში და საკუთარი პრემიერობის კანდიდატი გაიყვანოს 76 ხმით, პირველივე ცდაზე.

– შესაბამისად, ამ ვარიანტში, **ოპოზიციას შანსი უჩნდება უფრო მეორე ცდაზე,** თუ პირველივეზე „ქართული ოცნება“ ან კოალიციის შექმნას ვერ შეძლებს, ანდაც არჩევნებში 76 მანდატისთვის საჭირო ხმას ვერ მოაგროვებს.

– მაგრამ არის მეორე ვარიანტი, როცა ოპოზიციის საერთო ხმების საერთო რაოდენობა, წინასაარჩევნო სოციოლოგიური კვლევების თანახმად, მმართველი ძალის თანაბარია და მათ, ერთიანი ხმათა რაოდენობით, მმართველების პირველი მცდელობის ჩავარდნის შემდეგ, შეეძლებათ, მეორე ცდაზე საკუთარი კანდიდატურა გაიყვანონ.

– საკაშვილმა უკვე მოახერხა, რომ ისინი ფიცით შეკრა და „ქართულ ოცნებასთან“ რომ არ ითანამშრომლებენ, არ შევლენ მასთან კოალიციაში მომავალ პარლამენტში, წინასწარ „ჩამოართვა“ ამის პირობა.

– თუმცა, როგორც ყოველთვის, ექსპრეზიდენტს მომავალი პრემიერის პოსტზე საკუთარი კანდიდატურის გაყოლებით ოპოზიციასთან ზედმეტი მოუვიდა და დღეს მას სანაცვლო პირობა გაუყღერეს „ევროპული საქართველოდან“: არც „ქართულ ოცნებასთან“ ვითანამშრომლებთ მომავალ არჩევნებში და არც მიხეილ საკაშვილის კანდიდატურას დავუჭერთ ხმასო“.

– ძაღლის თავიც სწორედ აქაა დამარხული.

თუ აქედანვე არ დალაგდება პოზიციები, ეს იმას ნიშნავს, მეორე შანსის გამოყენების საშუალებას ოპოზიცია თავადვე ისპობს იმ შემთხვევაში, თუ არც საკაშვილის კანდიდატურას თანხმდებიან, ვერც საკაშვილის პარტიის გარეშე გაიტანენ საკუთარ კანდიდატურას. შანსი მოსპობილია ასევე იმ შემთხვევაშიც – თუ ვერც საკაშვილი გაიტანს „ლეიბორისტების ეზოს“ ოპოზიციის გარეშე საკუთარ კანდიდატურას, რადგან ხმები არ ეყოფა და წინასაარჩევნოდ, არც სხვის კანდიდატურას თანხმდება.

– შესაბამისად, გაურკვეველია ოპოზიციის ხმაური პრემიერობის საკუთარ კანდიდატზე, თუ ისინი ახლავე ვერ ახერხებენ ერთიან კანდიდატზე ჩამოყალიბებას.

– როგორც ცნობილია, ოპოზიციურ ფრონტზე ექსპრეზიდენტ მიხეილ საკაშვილს ცალკე აქვს პრემიერობის პრეტენზია, „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერს გიორგი ვაშაძეს – ცალკე, ხოლო „ევროპული საქართველოს“ ფრთის ქვეშ ამოფარებული „ლეიბორისტების ეზოს“ ოპოზიცია თავის კანდიდატურას ჯერ არ ამხელს.

საგენტოს ინფორმაციით, პრემიერობის დიდი სურვილი აქვს გიგა ბოკერიას, თუმცა, მისი კანდიდატურის მედიით ღიად გაჟღერების შემდეგ რომ უარყოფითი პოლიტიკური და საზოგადოებრივი გამოხმაურება მიიღო, „ნაციონალების“ განაყარმა პარტიამ უფრო დადებითი იმიჯის მქონე დავით ბაქრაძის კანდიდატურა გააჟღერა ამ პოსტზე კანდიდატად.

– დღესვე ამავე ბაქრაძემ საკაშვილის საპასუხოდ განაცხადა, რომ „ევროპულ საქართველოს“ ვერავინ ვერაფერს აიძულებსო.

– საკუთარი პრემიერობის კანდიდატურის გაჟღერებას აპირებს **მამუკა ხაზარაძის „ლელო საქართველოსთვისაც“** და დიდი ალბათობით, ის თავად იქნება. „ლელო საქართველოსთვის“ არ აპირებს კოალიციაში შესვლას არც „ქართულ ოცნებასთან“ და არც „ნაციონალურ მოძრაობასთან“, არამედ გეგმავს, თავად გახდეს პოლიტიკური ცენტრი.

„ქართულ ოცნებასთან“ და „ნაციონალურ მოძრაობასთან“ „ლელო“ კოალიციას არ გეგმავს, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ არის ერთპროცენტიანი ბარიერი და ძალიან ბევრ პოლიტიკურ სუბიექტს აქვს შანსი, მოხვდეს პარლამენტში, ყველა სხვა, პროდასავლურ ძალასთან განვიხილავთ თანამშრომლობას. გამომდინარე შიდა კვლევებიდან, „ლელოს“ სერიოზული მხარდაჭერის მიღების იმედი აქვს და თავად გეგმავს, გახდეს პოლიტიკური ცენტრი“, – განაცხადა სიორიძემ.

* * *

ფაქტია, ისევ ამომრჩეველმა და 2020 წლის არჩევნებში მისმა დადებულმა შედეგმა თუ არ უშველა ქართულ ოპოზიციას, ბავშვი ჯერ რომ არ დაბადებულა და მიშას, გიორგის ან გიგას არქმევენ, ანუ არ გამოკვეთა, რომელ პარტიას რამდენი მანდატი ექნება მომავალ პარლამენტში და შესაბამისად, რა შანსი – კოალიციურად იბრძოლოს მომავალი პრემიერობის კანდიდატისთვის, ისე – წინასაარჩევნოდ, ეს საკითხი ვერ დალაგდება.

მთავარი ოპოზიციური პარტიიდან დაწყებული, „ლეიბორისტების ეზოს“ ოპოზიციით გაგრძელებული და სხვა შუაშისტური პოლიტიკური ძალებით დამთავრებული ოპოზიციური სპექტრი ისეა გართული წინასაარჩევნო ტექნოლოგიებით ამომრჩევლის მოზიდვაში, იმასაც ვერ ხვდებიან, რომ მათი კინკლაობა **პრემიერის პოსტისთვის, მაჟორიტარობის კანდიდატების ერთმანეთისთვის დაყენებითა და ხმების დაქსაქსვით ამ ამომრჩეველს უფრო კარგავენ.**

მეტიც, როგორც პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** აცხადებს „2020NEWS“-თან, საკაშვილის განცხადებებს თუ აყვა ოპოზიცია, შეიძლება, პოლიტიკური ბრძოლისთვის სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდეს.

შესაბამისად, დღეის მონაცემებით, ქვეყნის ახალი პრემიერი ვერც საკაშვილი გახდება, ვერც ბოკერია და ვერც – ვაშაძე. ამ პოსტს ისევ მოქმედი პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია შეინარჩუნებს, რომელსაც კანონით აქვს უფლება, საარჩევნო სიის სათავეში ყოფნის შემთხვევაშიც, არ გადადგეს დაკავებული პოსტიდან. შესაბამისად და მეტიც, ვიდრე ახალი პარლამენტი ახალ პრემიერს არ აირჩევს, მას შეუძლია პარლამენტარის რანგში შეასრულოს პრემიერის მოვალეობა, შესაძლოა – ამ პარლამენტის დათხოვნისა და ახალი პარლამენტის არჩევამდეც.

რუსა მუმლაძე,
ირინა მაკარიძე.

გიორგი გახარია აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველს ესაუბრა

საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიასა და აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველს ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში რობერტ ო ბრაიანს შორის სატელეფონო საუბარი შედგა. მხარეებმა სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის ძირითადი საკითხები, ასევე, საქართველოსა და რეგიონში არსებული უსაფრთხოების გამოწვევები განიხილეს.

სატელეფონო საუბრისას საქართველოს მთავრობის მეთაური ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის თაოსნობით მიღწეულ სამშვიდობო შეთანხმებას მიესალმა. პრემიერ-მინისტრმა ასევე განაცხადა, რომ გეოსტრატეგიული ინტერესებისა და საერთო ღირებულებების გათვალისწინებით, საქართველო წარმოადგენს აშშ-ის საიმედო პარტნიორსა და მთავარ მოკავშირეს შავი ზღვის ფართო რეგიონში (wider Black Sea Region).

საუბარი ასევე შეეხო საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესს და აშშ-ისა და საქართველოს შორის როგორც უსაფრთხოების, ისე ეკონომიკურ განზომილებებში არსებული თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების მნიშვნელობას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ოკუპირებული ტერიტორიების მიმართულებით რუსეთის საოკუპაციო ძალების უკანონო ქმედებასა და იმ გამოწვევებს, რომელიც ადგილზე არსებობს. სატელეფონო საუბრის ბოლოს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველი საქართველოში ოფიციალურად მოიწვია.

ევროპის კვლევისა და ინოვაციის დღეები

მიხეილ ჩხენკელმა ევროკომისიის ვირტუალური კონფერენციის „ევროპის კვლევისა და ინოვაციის დღეები“ პანელურ სხდომაში მიიღო მონაწილეობა, სადაც მონაწილეებმა მეცნიერების განვითარების სამომავლო პერსპექტივებზე იმსჯელეს. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ცნობით, მიხეილ ჩხენკელმა საზოგადოებას სიტყვით მიმართა და საქართველოში მეცნიერების ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით უკვე მიღწეულ შედეგებსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

ჩვენი ურთიერთობების გაუარესება ვერავინ შეძლო!

აზერბაიჯანის მილი მეჯლისის დეპუტატის მაზახირ ეფენდიევის განცხადებით, საქართველო ერთ-ერთი ის ქვეყანაა, რომელთანაც აზერბაიჯანს ძლიერი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირები აქვს.

„ქართველ და აზერბაიჯანელ ხალხს შორის მეგობრული კავშირები ისტორიულად არსებობდა და ჩვენი ურთიერთობების გაუარესება ვერავინ შეძლო. ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, რომ ჩვენი ქვეყნების ბედი მსგავსია. ისტორია გვიჩვენებს, რომ უნდა ვითანამშრომლოთ, ერთობლივად დავიცვათ ჩვენი დამოუკიდებლობა და ცივილიზებულ მსოფლიო სივრცეში მოვახდინოთ ინტეგრირება“, – წერს აზერბაიჯანელი პარლამენტარი სტატიაში სათაურით „აზერბაიჯანულ-ქართული კავშირები, როგორც რეგიონის სტაბილურობისა და უსაფრთხოების გარანტია“.

ალეკო ელისაშვილი: მამუკა ხაზარაძე კლასიკური პოპულისტია!

სიმართლე **გითხრათ, ყველაფერს ველოდი მამუკა ხაზარაძისგან და „ლელოსგან“, ოღონდ მევახშეობა და ბანკები აიკრძალოს, ეს რომ წავიკითხე, ყურებს და თვალებს არ ვუჯერებდი,** – ასე გამოეხმაურა პარტია „მოქალაქეების“ თავმჯდომარე ალეკო ელისაშვილი „ლელო საქართველოსთვის“ ლიდერის მამუკა ხაზარაძის ინიციატივას, რომ საქართველოში მევახშეობა კანონით დასჯადი გახდეს. ელისაშვილის თქმით, ხაზარაძის ინიციატივა კლასიკური პოპულიზმია.

„გასაგებია, რომ წინასაარჩევნო პერიოდია და ყველამ რაღაცები უნდა თქვას, ზოგ შემთხვევაში უცნაურიც, მაგრამ ეს უკვე მეტისმეტი იყო. ეს არის ზუსტად პოპულიზმი. ეს არის კლასიკური პოპულიზმი და ღმერთი რჯული, მერომ მაბრალებენ ხოლმე, პოპულისტი ხარო. ამ ყველაფრის მერე, რაც ისმის წინასაარჩევნოდ, იმათ ფონზე როგორ შეიძლება ვინმემ თქვას, რომ ელისაშვილია პოპულისტი. ზოგი აიტი ქალაქებს ჰპირდება, ზოგი 600 ათას სამუშაო ადგილს. აგერ მევახშეობა აიკრძალოსო, ბანკირები იძახიან და მათ ფონზე, ჩემი აზრით, ნამდვილად ყველაზე არაპოპულისტი ვარ. კარგი იქნება, თუ რეალურ რაღაცებს ილაპარაკებენ, რომ თავი უხერხულში არ ჩაიგდონ...

ოპოზიცია საკუთარ სიცრუეში ირჩიობა, კახა კალაძე კი ოლიმპიური სიმშვიდით მუშაობს!

დედაქალაქის მთავრობის სხდომა

თბილისის მერიაში მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა.

როგორც მან აღნიშნა, მიკროავტობუსების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერი დასრულებულია. გამარჯვებულმა კომპანიამ „ფორდის“ მარკის 300 ერთეული მიკროავტობუსი 180 დღის განმავლობაში უნდა შემოიყვანოს. მისივე თქმით, დედაქალაქში ადრე 3 000-მდე მიკროავტობუსი გადაადგილდებოდა, თუმცა სატრანსპორტო რეფორმის შედეგად მათი რაოდენობა 1 200-მდე შემცირდება.

„ეს გამოწვეულია იმით, რომ ჩვენ მთლიანად მოდერნიზებას ვაკეთებთ ავტობუსების და სამარშრუტო ქსელისას. ქალაქში ძირითადად, 12, 10, 8-მეტრიანი ავტობუსები იმოძრავებენ, თუმცა რელიეფიდან და ქუჩების სივიწროვიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, საჭირო მიკროავტობუსებიც. ეს ყველაფერი ისე იქნება ინტეგრირებული და დალაგებული, რომ მგზავრობა კომფორტული იყოს“, – აღნიშნა კახა კალაძემ.

დედაქალაქის მერმა მიკროავტობუსებთან დაკავშირებით გავრცელებულ ცრუ ინფორმაციაზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ კონკრეტული ტელევიზიის მიერ გავრცელებულ ბრალდებას პასუხი ხვალ (ე. ი. დღეს!) გაეცემა.

მთავრობის სხდომაზე ასევე აღინიშნა, რომ თბილისის მუნიციპალიტეტსა და სამშენებლო კომპანია „M^2 ჯგუფს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, აღნიშნული კომპანია „ოლიმპიური ვარსკვლავის“ დაუმთავრებელ მშენებლობებს დაასრულებს.

„სამწუხაროდ, დედაქალაქში ძალიან ბევრი დაუმთავრებელი მშენებლობაა, რაც ვიზუალური თვალსაზრისით, პრობლემას წარმოადგენს. ასევე, იმ ადამიანებისთვის, ვინც წლების წინ გარკვეული თანხები გადაიხადეს, საცხოვრებელ ბინებს ელოდნენ და იმის გამო, რომ არაკეთილსინდისიერი სამშენებლო კომპანიები იყო, ვერ მოხერხდა ამ მშენებლობების დასრულება. დაახლოებით, 180 ობიექტია თბილისში, რომელსაც დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსი აქვს. ჩვენ 2019 წელს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისია“ შევქმენით, რომელიც ძალიან აქტიურად მუშაობს და დედაქალაქში არსებულ ყველა პრობლემურ მშენებლობას განიხილავს. გვაქვს წარმატებული შემთხვევებიც. მაგალითად, სამშენებლო კომპანია „სვეტის“ მიერ დაზარალებული ოჯახები. ეს იყო პირველი პროექტი, რომელიც ჩვენ განვახორციელეთ. კიდევ ერთხელ მინდა ვისარგებლო შემთხვევით და სამშენებლო კომპანია „m^2“-ს მადლობა გადავუხადო თანამშრომლობისთვის. ამ კონკრეტულ ობიექტებზე მშენებლობები უკვე დაწყებულია და სამი წლის განმავლობაში, ყველა ის ადამიანი, ემიგრანტი, ვინც საცხოვრებელ ბინებს ელოდა, უკლებლივ ყველა მიიღებს“...

კახა კალაძემ ყურადღება საცხოვრებელი ფართობების დაკანონების საკითხზეც გაამახვილა და აღნიშნა, რომ მერიის შესაბამისი პროგრამის ფარგლებში, საცხოვრებელი ფართობები კიდევ 87 ოჯახს დაუკანონდება.

დედაქალაქის მერმა რეკრეაციული სივრცეების მოწყობის აუცილებლობაზეც ისაუბრა. მისი თქმით, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და აზიის განვითარების ბანკის მჭიდრო თანამშრომლობით, ავჭალის ტერიტორიაზე საუბნო პარკის მოწყობა იგეგმება.

პროექტის განხორციელების შედეგად, პარკის ტერიტორიაზე მოეწყობა თანაბრად ხელმისაწვდომი და კომფორტული სივრცეები მოსახლეობის ყველა ჯგუფისთვის. საუბნო პარკის მოწყობის პროექტირების პროცესში, გაზიარებული იქნება საუკეთესო სართაშორისო გამოცდილება და ადგილობრივი მცხოვრებლების საჭიროებები.

მაგთის 24-წლიანი ისტორია ახალი ლოგოთი გრძელდება

24 წელია მაგთი საქართველოსთვის მუშაობს:

- ნერგავს უახლეს ტექნოლოგიებს
- ქმნის საკომუნიკაციო სერვისებს
- უზრუნველყოფს საიმედო კავშირს
- აძლიერებს ქვეყნის ეკონომიკას

მაგთი დღეს იუბილარია. მუდმივ განვითარებასა და პროგრესზე ორიენტირებული ბრენდი თავის ისტორიას ახალი ლოგოთი აგრძელებს.

მაგთის საქმიანობის არეალი წლებია გასცდა მხოლოდ მობილურ კომუნიკაციას და უკვე 3 მილიონზე მეტ მომხმარებელს სრულ სატელეკომუნიკაციო სერვისს სთავაზობს: მობილურ და ფიქსირებულ ტელეფონიას, სატელევიზიო და ინტერნეტმომსახურებას.

კომპანიის განვითარებასთან ერთად, მაგთის ლოგოს დახვეწაც დადგა დღის წესრიგში. ლოგოში ფიჭის, როგორც მობილური კომუნიკაციის სიმბოლომ ფორმა იცვალა, ახალ რეალობას მოერგო და განახლებული სახით წარდგა. უცვლელი დარჩა ბრენდის იდენტობის მნიშვნელოვანი მახასიათებლები – მაგთის წითელი ფერი და სლოგანი „კავშირი თქვენს სამყაროსთან“.

ლოგოს განახლება ერთ-ერთი კომპონენტია იმ საერთო ჯაჭვისა, რომელიც ასევე მოიცავს პროდუქტების, მომსახურების ოფისების და ციფრული არხების განახლებას. მაგთის მომსახურების განახლებული მოდელი უფრო მოქნილი, თანამედროვე, ახალ ტექნოლოგიებთან თავსებადი, ინტერაქტიული და მომხმარებელთან ახლო ურთიერთობაზე დამყარებული ხდება.

მაგთის განახლებული ვებგვერდი დახვეწილი ვიზუალით, მოქნილი მენიუთი და გამარტივებული ნავიგაციით, მომხმარებლისთვის უფრო კომფორტული და მოსახერხებელი გახდა.

მობილური აპლიკაცია MyMagti, რომელიც სხვადასხვა საკომუნიკაციო სერვისის – მობილური ტელეფონიის, ფიქსირებული ინტერნეტის, IP და სატელიტური ტელევიზიის – მარტივად მართვის საშუალებას იძლევა და სულ მალე შესაძლებლობას მისცემს მომხმარებლებს, თავად შექმნან სასურველი პროდუქტი, რომელსაც მაგთი 2 კვირაში წარადგენს.

„მე მიყვარს მაგთი“ – ასე ჰქვია ახალ სიმღერას, რომლითაც მაგთი რებრენდინგს იწყებს.

ფულის გათეთრება და საეჭვო ტრანზაქციები

ქართული ბანკები საერთაშორისო ჟურნალისტურ გამოძიებაში მოხვდნენ

ფულის გათეთრებასა და საეჭვო ტრანზაქციებზე გამომძიებელ ჟურნალისტთა საერთაშორისო გაერთიანების (ICIJ) კვლევაში ქართული ბანკებიც მოხვდნენ. ანგარიში ამერიკული კომერციული ბანკების მიერ 1997-2017 წლებში რეგისტრირებულ საეჭვო ტრანზაქციების სიას ეფუძნება, რომლის ჯამური მოცულობაც $2 ტრილიონს შეადგენს. ამ ტრანზაქციების უმეტესობა ევროპის, აშშ-ის და აზიის წამყვანი ბანკების მიერ იყო განხორციელებული და ფულის გათეთრების მომეტებულ რისკებს შეიცავდა. **FinCEN-ის მონაცემებში შედის საქართველოს ბანკების მიერ აშშ-ის ბანკებიდან მიღებული ან აშშ-ისბანკებში გადარიცხული თანხებიც,** რომლებიც „საეჭვო ტრანზაქციის კატეგორიაში გადის. მონაცემთა მნიშვნელოვანი ნაწილი Deutche Bank-ის მიერ განხორციელებულ ოპერაციებს უკავშირდება.

FinCEN-ის ანგარიშის მიხედვით, გამომძიებელ ჟურნალისტთა გუნდის მიერ მოპოვებული $2 ტრილიონი დოლარის მოცულობის საეჭვო ტრანზაქციიდან თანხის წარმომავლობისა და გადარიცხვების ზუსტი ჯაჭვის შესახებ მხოლოდ $35 მილიარდის მოცულობის ტრანზაქციებზე შეიძლება მონაცემების აღდგენა. ამ ტრანზაქციებიდან კი ქართული ბანკების გავლით $27 მილიონი დოლარის გადარიცხვები შედგა. კერძოდ, კი, ანგარიშში შემდეგი მონაცემები არის წარმოდგენილი:

- **2007-2011 წლები, 161 გადარიცხვა TBC BANK-იდან HABIB BANK ZURICH-ში:** გადარიცხვების მოცულობა $16,084,899 აშშ დოლარი;
- 2016 წლის ოქტომბერი - 2016 წლის დეკემბერი, 13 გადარიცხვა Raiffeisenbank-იდან საქართველოს ბანკში, ტრანზაქციების მოცულობა $7,628,334 აშშ დოლარი.
- 2012-2013 წლებში 5 გადარიცხვა The National Bank of Ras+Ras Al-Khaimah, Uae-დან TBC Bank-ში, გადარიცხვების მოცულობა $1,012,080 აშშ დოლარი;
- 2012 წლის დეკემბერში, 1 გადარიცხვა TBC ბანკიდან Sberbank of Russia-ში, გადარიცხვის მოცულობა $1,800,000 აშშ დოლარი;
- 2011 წელი – 2 გადარიცხვა საქართველოს ბანკიდან Habib Bank A G Zurich-ში, გადარიცხვების მოცულობა $81,000 აშშ დოლარი;
- 2016 წელი – 10 გადარიცხვა პროკრედიტ ბანკიდან საქართველოს ბანკში, გადარიცხვების მოცულობა $414,418 აშშ დოლარი.



უნივერსიტეტებს უცხოელ სტუდენტთა დაკარგვის ეშინიათ

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში 13 000-ზე მეტი უცხოელი სტუდენტი სწავლობს. ახალი სასწავლო წელი მათთვის და მათი სასწავლებლებისთვის გამკაცრებული რეგულაციებით და გაზრდილი ხარჯით იწყება.

იმ უნივერსიტეტების უმრავლესობას, სადაც უცხოელი სტუდენტები სწავლობენ, ახალი ვალდებულებები გამოუჩნდათ, დაწყებული ჩარტერულ რეისებში სტუდენტების განთავსებით და დამთავრებული სადაზღვევო პაკეტებით. ამას ემატება საკარანტინო სივრცეებში სტუდენტების ესკორტით ტრანსპორტირება და PCR-ტესტირება COVID-19-ზე.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი ერთ-ერთია იმ უმაღლეს სასწავლებლებს შორის, რომელსაც ინდოეთიდან ასამდე სტუდენტი ჰყავს ჩამოსაყვანი საქართველოში სწავლის დაწყებამდე ისე, რომ ჯერ არა აქვს მკაფიო პასუხი კითხვაზე, რამდენად შეძლებენ ისინი აქაურ ფიზიკურ გარემოში სწავლას. ყველაფერი ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული. თუკი ოქტომბრის შემდეგაც დისტანციური სწავლა იქნება სავალდებულო და უნივერსიტეტებში პრაქტიკული მეცადინეობები ჩაიშლება, აღმოჩნდება, რომ ხარჯი, რომელიც სტუდენტებმა საქართველოში ჩამოსასვლელად გასწიეს, ფუჭი იყო. სწორედ ამ გაურკვეველი მდგომარეობის გამო სტუდენტების ნაწილი სტატუსის შეჩერებასა და აკადემიური წლის აღებაზე ფიქრობს.

მოქმედი რეგულაციების მიხედვით, უცხოელი სტუდენტი საქართველოში სწავლის დაწყებამდე თვითონ ფარავს როგორც ფრენის, ასევე 8-დღიანი სავალდებული კარანტინის და ორჯერ PCR-ტესტის ჩატარების ღირებულებას. ასევე, აქვს ვალდებულება, ჰქონდეს ჯანმრთელობის და უბედური შემთხვევის დაზღვევის პოლისი, რომელიც აუცილებლად 100 %-ით უნდა ფარავდეს COVID-19-თან დაკავშირებულ მომსახურებას. ეს ვალდებულებები საშუალოდ 1000 დოლარით ზრდის სტუდენტის ხარჯებს სასწავლო წლის დასაწყისში.

სანამ უცხოელი სტუდენტი საქართველოს უნივერსიტეტისკენ გაძვირებულ და გართულებულ გზას დაადგება, აუცილებელია, ქვეყანაში შემოსვლის ნებართვის მოსაპოვებლად stopcov.ge-ზე განთავსებული სარეგისტრაციო ფორმა შეავსოს, რომლის დამზადებაც განათლების სამინისტრომ სექტემბრის დასაწყისში შეუკვეთა. ეს ფორმა 25 000 ლარი დაჯდა და მისი საჭიროება განათლების სამინისტრომ მხოლოდ სექტემბრის დასაწყისში დაინახა.

გამარტივებული შესყიდვის დოკუმენტაციაში ნათქვამია, რომ, **„საქართველოში მოქმედ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად დღის წესრიგში დადგა უცხოელი სტუდენტებისა და საქართველოში უმაღლესი განათლების მიღების მსურველ პირთა ორგანიზებულად ჩამოსვლის საკითხი“** მაშინ, როცა ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში სასწავლო წელი უკვე დაწყებული იყო.

კომუნიკაციის პრობლემა და რეგულაციების განახლება მაშინ, როცა სასწავლო პროცესი, ფაქტობრივად, იწყებოდა, სირთულეებს ქმნის უმაღლეს სასწავლებლებში პროცესის ორგანიზებისას. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მედიასკოლის დეკანი **ნინა ივანიშვილი** გვიყვება, რომ უნივერსიტეტმა მთელი ზაფხულის განმავლობაში ვერ შეძლო კონკრეტულ კითხვებზე პასუხების მიღება შესაბამისი სამთავრობო უწყებებიდან. კითხვები ახალ წესებსა და რეგულაციებს შეეხებოდა და, მათ შორის, მოიცავდა უცხოელი სტუდენტების საქართველოში შემოყვანის პროცედურებსაც.

„თადარიგის დაჭერა დავიწყეთ ძალიან ადრე. ივნისში დავიწყეთ უკვე იმაზე ფიქრი, როგორ შემოვიყვანდით ჩვენს სტუდენტებს. ივლისში არაფერი არ გაირკვა. გვითხრეს, რომ ჯერ კიდევ ელოდებიან რეგულაციებს. ვრეკავდით, ვწერდით წერილებს, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაკონიურ პასუხებს ვიღებდით სხვადასხვა უწყებიდან, რომლებიც, როგორც ჩანს, ერთმანეთთანაც არ იყვნენ კოორდინაციაში. აგვისტოს შუა რიცხვებში მივიღეთ რეგულაციები, რომლებიც არცთუ ისე ადვილად შესასრულებელია“, — ამბობს ნინა ივანიშვილი.

ყველა ის უნივერსიტეტი, სადაც საერთაშორისო პროგრამები ხორციელდება და უცხოელი სტუდენტები სწავლობენ, ამბობს, რომ ეს მათი საქმიანობის მნიშვნელოვანი კომპონენტია. უცხოელი სტუდენტების უკან სხვადასხვა საერთაშორისო პროექტი, მარკეტინგული კომპანიები, დიპლომატიური ურთიერთობები, შუამავალი კომპანიები დგას და თუკი ქვეყანა, თუნდაც ერთი წლით, არსებულ პროგრამებს შეაჩერებს ან ხარვეზებით ჩაატარებს, წლების განმავლობაში გაწეული ძალისხმევის შედეგები შესაძლოა, დაიკარგოს და უნივერსიტეტებს პოსტპანდემიურ ხანაში თავიდან მოუწიოთ უცხოელი სტუდენტების ნდობის მოპოვება.

2020 წლის ზაფხული ისედაც რთული იყო, მაგალითად, ახალი ინდოელი სტუდენტების მოსაზიდად, იქ არსებული რთული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით — შუამავალმა კომპანიებმა მუშაობა ვერ შეძლეს, სტუდენტებმა — შესაბამისი გამოცდების ჩაბარება, უნივერსიტეტებმა — მარკეტინგული კამპანიების ჩატარება და, შესაბამისად, ამ წელს ახალი ნაკადი არ არის. პანდემიამვე შეაფერხა ალტერნატიული გზების ძებნა და სხვა ქვეყნებთან კონტაქტების გაღრმავება. შესაბამისად, არსებული სტუდენტების შენარჩუნება და მათთვის სრულყოფილი სერვისის მიწოდება პრინციპულად მნიშვნელოვანია.

საქართველოში 13 000-ზე მეტი უცხოელი სტუდენტი იღებს უმაღლეს განათლებას — საქსტატის მონაცემებით, უცხო ქვეყნიდან ჩამოსული სტუდენტების უმეტესობა კერძო უნივერსიტეტს ირჩევს სასწავლებლად. 2019-2020 წელს სახელმწიფო უნივერსიტეტებში 4 429, კერძო უნივერსიტეტებში კი 8 898 უცხოელი სტუდენტი სწავლობდა.

კვლევამ, რომელიც უცხოელი სტუდენტების გავლენას სწავლობდა ქართულ ეკონომიკაზე, 2017 წელს აჩვენა, რომ უცხოელ სტუდენტებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ როგორც ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლაში, ასევე უნივერსიტეტების განვითარებაში. როგორც უნივერსიტეტის წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, უცხოელი სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასური ქართულ უნივერსიტეტებს საშუალებას აძლევს, განახორციელონ მნიშვნელოვანი ინვესტიციები ინფრასტრუქტურასა და ტექნოლოგიებში და განავითარონ ახალი საგანმანათლებლო პროგრამები.

სექტემბერში კორონავირუსით ინფიცირებულთა რაოდენობის სწრაფი ზრდის გამო, სასწავლო პროცესი ყველა სასწავლო დაწესებულებაში 1 ოქტომბრამდე დისტანციურ რეჟიმში მიმდინარეობს. არსებობს შიში, რომ დაკეტილი შენობები არც ოქტომბერში გაიხსნება. უმაღლესი სასწავლებლების ნაწილს სწავლა ჯერ არ დაუწყია. გასაკეთებელია არჩევანიც, სწავლის რა მოდელს აირჩევენ უნივერსიტეტები შემოდგომის სემესტრისთვის.

ნესტან არაბული

პროგნოზი და გამოსავალი

რამდენით მოიმატებს ფასები ოქტომბრიდან

მიუხედავად ლარის სტაბილურობის თაობაზე მთავრობის ეკონომიკური გუნდის დამაიმედებელი პროგნოზისა და ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული ინტერვენციებისა, ეროვნული ვალუტა გაუფასურებას განაგრძობს, დისტრიბუტორი კომპანიები კი ოქტომბრიდან პროდუქტზე ფასების მატებას პროგნოზირებენ.

დისტრიბუტორთა ასოციაციის ხელმძღვანელი **ივა ჭყონია** „აქცენტთან“ საუბრისას ვარაუდობს, რომ დაახლოებით, 10 ოქტომბრიდან ყველა სახის პროდუქტზე ფასები 2%-ით და მეტით მოიმატებს.

როგორც დისტრიბუტორთა ასოციაციის ხელმძღვანელი განმარტავს, **ფასების მატება შეეხება მათ შორის ადგილობრივი წარმოების პროდუქტს, ვინაიდან წარმოებისთვის საჭირო ნედლეულიც იმპორტირებულია.**

„მაგალითად, ადგილობრივი წარმოების პომიდორისთვის შესაწამლი საშუალებები უცხოეთიდან შემოდის. ეს საშუალებები კი მწარმოებელმა დოლარში უნდა იყიდოს და ბუნებრივია ეროვნული ვალუტის ცვალებადობა მასზეც აისახება — ყველა ადგილობრივი მწარმოებელი დამოკიდებულია იმპორტირებულ ნედლეულზე“, — განმარტავს ჭყონია და დასძენს, რომ „ბიზნესი დიდი ხანია, გადარჩენის რეჟიმში მუშაობს, იძულებული არიან, ფასები გაზარდონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ოპერირებას ვეღარ გააგრძელებენ“.

„ბოლო 5 წელია, ვსაუბრობ, რომ ლართან დაკავშირებული პრობლემები ინფლაციას იწვევს. თავადაც (ეკონომიკურ გუნდში) იციან, რა როგორ უნდა გავაკეთოთ, მაგრამ არაადეკვატურ განცხადებებს ვიღებთ, რაც ვფიქრობ, ჯამში არაფერს ემსახურება: იზრდება ფასები, მსყიდველუნარიანობა ეცემა, ბიზნესს კი პრობლემა ექმნება: გასაგებია, რომ პირველადი მოხმარების პროდუქტი ბრუნვაში ყოველთვის იქნება, მაგრამ გარდა ამისა, უამრავ სხვა პროდუქტზეა საუბარი, რაზეც ეს ქვეყანა დგას. ამდენად, პროცესი ნებისმიერ კომპანიაზე ნეგატიურად აისახება — ყველას აქვს საბანკო ვალდებულებები, ვალდებულებები თანამშრომლებთან და ამ ვალდებულებების გაუსტუმრებლობის წინაშე დავდგებით. გავიდა ექვსთვიანი პერიოდიც (საბანკო ვალდებულებების გადავადების) და წარმოიდგინეთ, ეს რა მძიმე ტვირთად დაეწვება ბიზნესსა და მოქალაქეებს“, — ამბობს ჭყონია.

არასამთავრობო ორგანიზაცია **„საზოგადოება და ბანკების“ ხელმძღვანელი გიორგი კეპულაძე** კიდევ ერთ პრობლემურ საკითხზე ამახვილებს ყურადღებას:

„თავისუფლების აქტში“ გაწერილია, რომ საქართველოს სახელმწიფო ვალი არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი შიდა პროდუქტის 60%-ს, თუმცა, პროგნოზით, ლარის კურსის გაუფასურების პირობებში, შესაძლებელია, ვალი მიუახლოვდეს ან გადასცდეს აღნიშნულ ზღვარს, რაც დამატებით პრობლემებს შექმნის: მთავრობის მიერ დამატებითი ვალის აღება შესაძლოა პრობლემური გახდეს და მოუწიოს სესხის უცხოელი დონორებისგან მაღალ პროცენტში აღება. გარდა ამისა, ლარის გაუფასურება ზრდის საგარეო ვალის წნეხს — იზრდება ყოველთვიური გადახდის ტვირთი“.

* * *

გიორგი კეპულაძე ყურადღებას სესხის სახით მოზიდული სახსრების რაციონალურად ხაჯვის მნიშვნელობაზე ამახვილებს:

„ის, რომ ინფრასტრუქტურულ პროექტებში უნდა დაიხარჯოს, ცალსახაა. ასევე მნიშვნელოვანია, შემცირდეს სოციალურ დახმარებებში და მთავრობის ხარჯებში ვალით მოზიდული სახსრების ხარჯვა.

ყოველწლიურად ვსაუბრობთ ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებაზე. იგივეა საზოგადოების აღქმა და სანამ ოპტიმიზმის ელემენტარული საფუძველი არ გაჩნდება, ვითარება შენარჩუნდება. ჯერჯერობით, „ქართული ოცნების“ ეკონომიკური გეგმა, როგორ აპირებს ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანას, არ გვინახავს. სასურველია, ვნახოთ და შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებმა, სპეციალისტებმა ვიმსჯელოთ, რამდენად ადეკვატურია სხვადასხვა პარტიების გეგმები ამ მიმართულებით. ვიცით, რომ წლეულს ეკონომიკური ვარდნა გვექნება და მოლოდინი კიდევ უფრო უარესია, რაც ქვეყნის იმიჯზე დადებითად არ აისახება“.

ბიუჯეტის კორექტირების აუცილებლობაზე საუბრობს **ივა ჭყონიაც:**

„ეროვნული ბანკი ფაქტობრივად, დროულად მოქმედებს, მაგრამ ეს საერთო სურათს აღარ შველის. შესაბამისად, ამ ეტაპზე, როდესაც ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოდინება ვერ ხდება, ბიუჯეტი უნდა გადაიხედოს — დაკორექტირდეს, დონაციაზე ნაკლები სახსრები მიემართოს. ბევრი ფაქტორი მუშაობს: „საერთაშორისო გამჭვირვალეობის“ კვლევის მიხედვით, პანდემიის პერიოდში შტატგარეშე თანამშრომელთა რაოდენობა 20%-ით გაიზარდა, რაშიც ბიუჯეტიდან 11 მილიონამდე დაიხარჯა; 11 მილიონივე დაიხარჯა ანალოგიურ პერიოდში მივლინებებში — ეს წარმოუდგენელია და სხვა მიმართულებით რა ხდება, არ ვიცით. ხარჯების ოპტიმიზაცია უნდა მოხდეს, სხვა გამოსავალი არაა. მეტი თანხები უნდა მიემართოს ინფრასტრუქტურული პროექტებისკენ, რათა ფულმა იბრუნოს — ეს ძალიან მნიშვნელოვანია“.

COVID-19 ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ: ᲕᲘᲜᲐᲐ ᲛᲢᲔᲠᲘ, ᲕᲘᲜ - ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ?!

ᲑᲝᲚᲝ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ **განმავლობაში კორონავირუსთან ბრძოლის აფხაზური ოპერატიული შტაბის ყოველდღიური ცნობები ფრონტის ამბებს დაემსგავსა. ინფიცირებულთა დღიური ნამატით აფხაზეთი ყოველდღიურად ხსნის ახალ ანტირეკორდს. ასე, მაგალითად, 20 სექტემბერს 225 ტესტირებულიდან კოვიდი 61-ს დაუდასტურდა. რესპუბლიკის ერთადერთ — გუდაუთის კოვიდ-ცენტრში უკვე 99 პაციენტი მკურნალობს, მათგან 6 — მძიმე, 14 — საშუალო სიმძიმის...**

ამასთან, აფხაზეთის ხელისუფლება მალავს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ გუდაუთის კოვიდ-ცენტრიდან საქართველოში სამკურნალოდ უკვე 10-ზე მეტი მძიმე ავადმყოფია გადაყვანილი. მიზეზები, რომელთა გამოც ამ ინფორმაციას არ ასაჯაროებენ, ცოტა გაუგებარია. თუმცა ზოგიერთი ჩვენი თანამოსაუბრე დარწმუნებლია, რომ ამ გზით რესპუბლიკის ხელმძღვანელობა იმ ფაქტის მიჩქმალვას ცდილობს, რომ რუსეთს ამ პაციენტების მკურნალობა არ სურს და აფხაზური მხარე იძულებულია, ისინი საქართველოში გადაგზავნოს.

— რუსეთში დიდი ხანია, აღარავინ გაუყვანიათ, მიუხედავად იმისა, რომ ძალზე მძიმე პაციენტები გვყავს. სოჭში მთელი ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ორი გაიყვანეს და ორივე გარდაიცვალა. ჩვენს ინფიცირებულ ექიმებს ერთი მეორის მიყოლებით საქართველოში უშვებენ — და არა მარტო იმის გამო, რომ ასე სურთ ინფიცირებულთა ოჯახებს. ჩვენ ღიად გვეუბნებიან, „ნუ დაელოდებით გაუარესებას, გაიყვანეთ საქართველოში, რადგან რუსეთში მათ არავინ უმკურნალებსო“, — გვიამბო ერთ-ერთი ინფიცირებული ექიმის ოჯახის წევრმა ალექსეიმ. ახალგაზრდას თქმით, გუდაუთის კოვიდ-ცენტრის თანამშრომლები არ მალავენ, რომ ვითარება ძალზე მძიმეა. **„თუ ტელევიზორს მოუსმენ, რუსეთი თითქოს გვეხმარება, მაგრამ რეალურად - არავითარი დახმარება და არც მკურნალობა. წამალი ცოტაა, ამას ექიმების დეფიციტიც ერთვის. რუსეთში გადაყვანა უნდა დავივიწყოთ...**

აფხაზეთი რუსეთთან ურთიერთობების დაძაბვის ფაქტს უმალავს არა მარტო საკუთარ მოსახლეობას, არამედ მთელ მსოფლიოს. ახლა უკვე მისი მხრიდან ამის გამხელა არცაა აუცილებელი. მოსახლეობა ამას თავადაც კარგად ხედავს და მეტიც, ამაზე ღიადაც საუბრობს. და მიუხედავად ამისა, ხელისუფლება დღიდან დღემდე ცდილობს, დაგვარწმუნოს რუსეთთან არაჩვეულებრივ ურთიერთობაში, მის დახმარებასა და მხარდაჭერაში, პარალელურად კი ავადმყოფების საქართველოში გადაგზავნას ცდილობს.

საკითხის ამგვარი დაყენება, სულ მცირე, გასაკვირია. საქართველო აფხაზეთის მტერია, მეოცნებე რესპუბლიკის თავის იურისდიქციაში დაბრუნებაზე. და ჰო, კინაღამ დამავიწყდა — ამ საზიზღარ საქართველოს დღემდე არ მოუწერია ხელი თავდაუსხმელობის შესახებ შეთანხმებისთვის, არ უღიარებია აფხაზეთის სახელმწიფოებრიობა და კიდევ ბევრი რამ არ გაუკეთებია. რუსეთი კი სტრატეგიული პარტნიორია, მეზობელი და მეგობარი, რომელიც დღედაღამ, ხელჩაუხრელად ზრუნავს იმაზე, როგორ დაეხმაროს აფხაზეთსა და მის მაცხოვრებლებს. მაშ რატომ ვცდილობთ ჩვენი პაციენტების სამკურნალოდ გაგზავნას მტერთან და არა მეგობართან?! იქნებ იმიტომ, რომ რეალურად, თითოეულს კარგად გვაქვს გაცნობიერებებული, ვინაა მტერი, ვინ — მეგობარი?

და სანამ ათას სხვადასხვა პროპაგანდას დაქვემდებარებული მოქალაქეები ჩემს მიმართ შეტევაზე გადმოსულან, შეგახსენებთ ერთ სიბრძნეს: ის კი არაა მეგობარი, ვინც თაფლს გისვამს, არამედ ის, ვინც სიმართლეს გეუბნება და მეგობრობის ხელს გიწვდის.

ჯერჯერობით რუსეთისგან მხოლოდ სიტყვები გვესმის. რეალური დახმარება — ნული!!!

რატომ ავიკვიატე ასე რუსეთი? საქმე იმაშია, რომ სწორედ ეს სახელმწიფო საუბრობს აგერ უკვე რამდენიმე ათეული წელია, აფხაზეთის დახმარებაზე. 2008 წლიდან ამას თითქოს აბსოლუტურად ოფიციალურად აკეთებს — ორ თანასწორ სახელმწიფოს შორის გაფორმებული ათეულობით ხელშეკრულებისა და შეთანხმების საფუძველზე, მაგრამ სრულუფლებიანი პარტნიორების ურთიერთქმედებას ეს ურთიერთობები ყველაზე ნაკლებად ჰგავს. გაზვიადება არ იქნება, ვთქვათ, რომ ჩვენ უმცროსი ძმის როლშიც კი არ ვართ, უფრო ბატონსა და ყმას ვგავართ, მესაკუთრესა და მონას.

მლანძღეთ, რამდენიც მოგესურვებათ, მაგრამ არ მჯერა, რომ რუსეთი, რომელიც ლამის მთელ მსოფლიოს უწევს უანგარო დახმარებას, რესპუბლიკისა და აფხაზი ხალხისთვის ამ ძნელბედობის ჟამს აფხაზეთს ვერ ეხმარება. მაშ რა დავარქვათ რუსეთის უარს, აფხაზ პაციენტებს თავის კლინიკებში უმკურნალოს? ან რით ავხსნათ რუსეთის მიერ ჩვენთან — აფხაზეთში იმ სამედიცინო პრეპარატების შემოტანის აკრძალვა, რომლებიც ესოდენ აუცილებელია ახლა — კორონავირუსული ეპიდემიის მწვავე ფაზაში?

...აფხაზური მედიცინა კოლაფსის ზღვარზეა. ჩვენი ექიმები, მართალია, ცდილობენ, ამაზე არ ისაუბრონ, მაგრამ ყველას გვესმის, რომ ისინი სენს უკანასკნელი ძალით ებრძვიან. რუსეთიდან დახმარებას, მაღალი ალბათობით, ვერ მოვესწრებით. და გვიწევს, ვიყოთ ენგურსიქითა მედიკოსების იმედად, რომლებიც ყოველ ჯერზე გვიწვდიან დახმარების ხელს. ყოველგვარი მოთხოვნისა და პირობის, პიარისა და ბაქიბუქის გარეშე.

ადრე თუ გვიან დადგება დრო, როცა ნიღბები ჩამოიხსნება. მაშინ დავინახავთ, ვინაა ნამდვილი, ვინ — მოჩვენებითი მეგობარი. ღმერთმა ქნას, ეს მანამ გავაცნობიეროთ, სანამ მეტისმეტად გვიანი არ იქნება!

ᲙᲠᲘᲡᲢᲘᲜᲐ ᲐᲕᲘᲫᲑᲐ

ᲬᲔᲚᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲘ ᲒᲕᲔᲚᲘᲡ

ᲧᲕᲔᲚᲐᲛ **ვიცით, რომ სხვა ვირუსული ინფექციები როგორც ყოველთვის სწორედ ზამთრის სეზონზე იმატებს და მათ შორის გამოჩნდება სეზონური გრიპი და ამასთან ერთად წელს კორონავირუსი,** — ამის შესახებ პედიატრმა მაია ხერხეულიძემ განაცხადა.

„წელს განსაკუთრებული ყურადღება გვჭირდება, როგორც მშობლებს, ასევე ექიმებს, რადგან ხშირ შემთხვევაში კორონავირუსული ინფექცია განსაკუთრებით ბავშვებში, მისი მიმდინარეობა არ განსხვავდება ბანალური, სხვა ვირუსული ინფექციებისგან. დასაწყისში გვეგონა, რომ ბავშვებში ეს ვირუსი არ არსებობს, მერე ვნახეთ, რომ თურმე ემართებათ, მაგრამ შედარებით მსუბუქად, შემდეგ ვნახეთ, რომ გართულებაც შესაძლებელია, ანუ გზადაგზა ვსწავლობთ რაღაცებს, ამიტომ ნებისმიერი სიმპტომის შემთხვევაში, აუცილებლად საჭიროა ექიმთან კონსულტაცია“, — განაცხადა პედიატრმა.

„ჩვენ უნდა დავიცვათ არა მხოლოდ ჩვენი ჯანმრთელობა და სიცოცხლე, არამედ გარშემო მყოფებისაც და ამისთვის დღეს რაც გვაქვს და ამაზე უკეთესი დაცვაკორონავირუსისგან ჯერ არ გვაქვს, ეს არის პირბადე. მოზარდებმა და სასკოლო ასაკის ბავშვებმა პირბადე აუცილებლად უნდა გამოიყენონ. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ 2 წლამდე ბავშვებში პირბადე რეკომენდებული არ არის“, — განაცხადა პედიატრმა.

დღე-ღამეში საქართველოში კორონავირუსის 227 ახალი შემთხვევა გამოვლინდა, 69 პაციენტი გამოჯანმრთელდა, ერთი კი გარდაიცვალა. ამ დროისთვის საქართველოში კორონავირუსის 4 140 შემთხვევაა დადასტურებული, გამოჯანმრთელებულია 1643 ადამიანი, 24 პაციენტი კი გარდაცვლილი. უცხოეთიდან სამკურნალოდ გადმოყვანილია საქართველოს 41 მოქალაქე.

ᲘᲜᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲘᲛᲣᲨᲝᲑᲘᲐᲠᲐ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ სამშობიარო სახლში კოვიდინფიცირებულ ორსულს საკეისრო კვეთა ჩაუტარდა. კლინიკის დირექტორის ნუგზარ პაპავას ინფორმაციით, დედაც და ახალშობილიც თავს კარგად გრძნობენ.

„დღის განმავლობაში ახალშობილს ტესტირება ჩაუტარდება. ამ ეტაპზე არ არის ცნობილი, აქვს თუ არა ბავშვს კორონავირუსი. ჯერჯერობით დედა და შვილი იზოლირებულად იქნებიან მოთავსებული“, — განაცხადა ნუგზარ პაპავამ.

ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲔᲕᲠᲝᲠᲞᲐ COVID-19-ᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲢᲐᲚᲦᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ. ᲠᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲔᲡ?

ᲑᲝᲚᲝ **რამდენიმე კვირის განმავლობაში ევროპის ქვეყნებში ახალი კორონავირუსის შემთხვევები იზრდება. ინფიცირებულთა მაჩვენებლის მატება შემოდგომის დაწყებასა და სკოლების გახსნას დაემთხვა (ყოველ შემთხვევაში, ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში). თუმცა ამაში მოულოდნელი არაფერია, რადგან სპეციალისტები ახალი კორონავირუსის მეორე ტალღაზე ჯერ კიდევ ზაფხულში საუბრობდნენ. როგორია კოვიდვითარება დღევანდელ ევროპაში? ვინ და როგორ ემზადება COVID-19-ის მორიგი „შემოტევისთვის“?**

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ: ᲜᲐᲐᲓᲠᲔᲕᲐᲓ ᲒᲐᲣᲥᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲐᲠᲐᲜᲢᲘᲜᲘ

ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ დასაწყისში, ესპანეთში COVID-19-ით ინფიცირების ყოველდღიურად დადასტურებულმა ახალმა შემთხვევებმა გაზაფხულის მსგავს მაჩვენებელს გადააჭარბა. აპრილის პირველ ორ კვირაში ინფიცირებულთა საერთო რიცხვმა (ეს მაჩვენებელი აქტიური შემთხვევების საერთო რაოდენობას ასახავს) პიკში 100 ათას ადამიანს მიაღწია, ახლა კი 120 ათასს აჭარბებს. ეს 100 ათას სულ მოსახლეზე 270 შემთხვევას ნიშნავს, რაც მთელი ევროკავშირის მასშტაბით რეკორდული მაჩვენებელია (მეზობელ საფრანგეთში შემთხვევათა წილი ორჯერ ნაკლებია).

თუმცა როდესაც ამ შედარებაზე ვსაუბრობთ, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ გაზაფხულზე ესპანეთს დაავადებულთა გამოსაკვლევად საკმარისი რაოდენობის ტესტი არ გააჩნდა. სწორედ ამიტომ სტატისტიკური მაჩვენებელი საგრძნობლად დაბალი იყო. გაზაფხულზე ჩატარებული ტესტების დაახლოებით მესამედს დადებითი პასუხი ჰქონდა, ამჯერად კი ეს წილი სამჯერ დაბალია. თუმცა რადგან ტესტირება დღეისათვის უფრო მასშტაბურად ტარდება, შემთხვევათა საერთო რაოდენობაც გაზაფხულის მაჩვენებელს აღემატება. ამავდროულად, დაავადების სიხშირე კიდევ უფრო სწრაფად იზრდება. ამას ივლისის შუა რიცხვებიდან დაფიქსირებულ ტესტირებაზე დადებითი პასუხების წილის ზრდა მოწმობს.

ესპანელი ეპიდემიოლოგის დანიელ ლოპეს კოდინას აზრით, რომელთანაც The Guardian-მა ისაუბრა, ახალი კორონავირუსის მორიგი ტალღა სამი ძირითადი მიზეზით არის განპირობებული:

- **მკაცრი საკარანტინო რეჟიმი ნაადრევად მოიხსნა (ავტორის აზრით, ერთი თვით დაჩქარდა);**
- **კარანტინის მოხსნის დროს კონტაქტის მოძიების მოქმედი სისტემა არ ფუნქციონირებდა;**
- **ესპანელებს ჩამოუყალიბდათ დამოკიდებულება ახალი კორონავირუსისადმი, როგორც სეზონური გრიპის მიმართ, რომელიც ზაფხულში საშიში არ არის.**

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ: „ᲒᲐᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ“ COVID-19

ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ეპიდემიოლოგიური ვითარება იტალიაში ყველაზე მეტად ესპანეთის მსუბუქ ვარიანტს წააგავს. ორივე ქვეყანაში გაზაფხულზე იფეთქა ძლიერმა ეპიდემიამ, რამაც სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელი გამოიწვია, ჯანმრთელობის დაცვის სისტემა კი ძალზე გადატვირთული იყო. გაზაფხულზე ორივეგან მკაცრი საკარანტინო რეჟიმი დაწესდა, რის შემდეგაც ინფიცირების ყოველდღიური შემთხვევების რაოდენობა სტაბილურად შემცირდა. ზაფხულში ამ მაჩვენებელმა თანდათანობითი ზრდა დაიწყო: ესპანეთში — ივლისის შუა რიცხვებში, იტალიაში კი — აგვისტოს მეორე ნახევრიდან. ამ ეტაპზე იტალიაში ახალი კორონავირუსით ინფიცირების შემთხვევების რაოდენობა ჯერ კიდევ არ არის დიდი (ბოლო ორი კვირის განმავლობაში, 100 ათას სულ მოსახლეზე საშუალოდ 32 შემთხვევა დადასტურდა), თუმცა უკვე მეხუთე კვირაა ზრდა გრძელდება. ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტროს განცხადებით, ეპიდემიოლოგიური ვითარება ნელი ტემპით, მაგრამ თანდათან უარესდება.

ᲘᲮ. 11 ᲒᲕ.

თუ მორიელზე ყორანს დავამყნოზდით...

ანუ როცა ფოლგით შეფუთვაც არ გამოგვდის



შარშანდელ, ანუ წინა საუკუნეში, **იყო ერთი კარგი, დიდსახელიანი მეცნიერი ორიენტალისტი და იყო მეორეც, რომელიც მაშინაც წაიმეცნიერებდა და დღესაც წაიმეცნიერებს. ეს მეორე იმ პირველისგან იყო ხელდასხმული, მაგრამ, მორიელისა არ იყოს, მაშინაც კბენდა ეს მეორე იმ თავის ხელდამსხმელს და არც დღეს აკლებს ხანდაზმით კბილის გაკვრას, ოღონდ ახლა უკვე შეფარვით, ვითომ აქებს, სინამდვილეში კი თავის მთავარ სათქმელს, ცხადია, ერთგვარად დამამცირებელს, და დამაკნინებელს, მაინც ამბობს.**

სწორედ ასეთი აზრი გამიჩნდა აგერ წინა პარასკევის, ანუ 18 სექტემბრის, „ლიტერატურულ საქართველოში“ **გურამ ყორანაშვილის** ვრცელ, გაზეთის ერთგვერდიან წერილში – **„ყური ვუგდოთ ისტორიკოსის შეგონებას (გამოხმაურება აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილის საიუბილეო კრებულზე)“**.

კრებული გამოიცა მეცნიერის დაბადების 100 წლისთავის გამო, რედაქტორები არიან **ნინო მელიქიშვილი, სოფიო სარჯველაძე,** შემდგენლები **ირინე, ნინო, ლია მელიქიშვილები** და **სოფიო სარჯველაძე**. წერილის ავტორის აზრით, აღნიშნული გამოცემით **„უთუოდ კარგი საქმე გაკეთდა, რამეთუ იგი ეხება გამოჩენილ, ნამდვილად მოაზროვნე ისტორიკოსს“** (განა არამოაზროვნე ისტორიკოსიც შეიძლება?!). პირადად წერილის ავტორისთვის საყურადღებო გამომდგარა განსაკუთრებით ორი თეორიულ-მეთოლოგიური ეტიუდი: **„ისტორიული მეცნიერების საგნისა და მეთოდოლოგიის საკითხები“ და „მოკლე ექსკურსი XX საუკუნის საქართველოს ისტორიის შესახებ“,** აგრეთვე მესამეც (ჩანს, ნაკლებ საყურადღებო!): **„კომუნიზმის იდეის კრახი სსრკ-სა და აღმოსავლეთ ევროპაში“**. თუმცა ეს უკანასკნელი დაწერილია **„არასპეციალისტის მიერ“,** ოღონდ **„მასში აშკარად მოჩანს მოაზროვნე ისტორიკოსის ნაფიქრალი“** და წერილის ავტორი ეჭვობს, რომ თვითონ „სპეციალისტებს“ შესძლებოდათ ასეთი საფუძვლიანი თხრობა“. ესე იგი, არასპეციალისტმა აჯობა სპეციალისტებს.

წერილის ავტორი აშკარად სწორად აღნიშნავს იმ უზუსტობებს, რაც კრებულის შემდგენლებისა და რედაქტირების თვალს ვერ შეუმჩნევია. ეს უზუსტობანი კი არა ერთი და ორია, რაც ფრიად დასანანია. წერილის ავტორი იმასაც სწორად აღნიშნავს, რომ **„კარგი იქნებოდა, კრებულის ტექსტზე მუშაობისას სპეციალისტებიც ყოფილიყვნენ ჩართულნი...“**

და ყორანს უკვე ლეშის სუნი ეცა, ლეშის **„ისტორიული სუნი“**. გიორგი მელიქიშვილი თურმე **„ჩაკეტილი პიროვნება, თავისებური სფინქსი იყო, ამ გამოცემით კი ეს „სფინქსი“ ალაპარაკებულა. აქ მკითხველს, ფართო მკითხველს, უნდა შევახსენო, რას ნიშნავს სფინქსი. ბერძნულ მითოლოგიაში ის ფრთიანი ურჩხულია, რომელიც ექიდნამ გააჩინა ტიფონისგან; ნახევრად ლომი, ნახევრად ქალი, იგი ჰერამ თებებში წარგზავნა... ჭამდა გამვლელებს იმის შემდეგ, თუ ვერ უპასუხებდნენ გამოცანას: „ვინ დადის დილით ოთხ ფეხზე, შუადღისას ორზე, საღამოს სამზე?“ გამოცანა მხოლოდ ოიდიპოსმა გამოიცნო: „ადამიანი ბავშვობაში, მოწიფულობასა და სიბერეში“, რის მერეც ის კლდიდან გადაეშვა უფსკრულში. ერთი სიტყვით, სფინქსი ამოუცნობი არსებაა, უცნაური ადამიანი.**

როგორ დავიჯეროთ, რომ კრებულის რეცენზიის ავტორმა არ იცის, რის სიმბოლოა სფინქსი! ხოლო თუ იცის, მით უფრო უარესი...

და **„კარგი იქნებოდა, ამ ამოუცნობი არსების უცნაურ ადამიანს, ანუ აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილს, ჰეგელის თავისუფლების იდეასთან დაკავშირებით „უფრო ღრმად გაეცნობიერებინა დიდი გერმანელი ფილოსოფოსის მნიშვნელობა ისტორიის მონისტური გაგების, მატერიალიზმის ჩამოყალიბებისა და, კერძოდ, ისტორიული პროგრესის გაცნობიერებაში“.**

შემდეგ წერილში აღნიშნულია, რომ მარქსიზმის ფუძემდებელთაგან მომდინარე **„ფორმაციათა თეორიამ“** ვლ. ლენინისა და ი. სტალინის ხელში უაღრესად დოგმატური სახე მიიღო და საზოგადოებისა და მისი ისტორიის ყოველმხრივი შესწავლის დაბრკოლებად იქცა. აკადემიკოსის ამ მოსაზრებამ უკმარისობის განცდა გაუჩინა ხსენებული კრებულის რეცენზიის ავტორს და საყვედურს ათქმევინებს, რატომ უფრო გავრცობილად არ წარმოაჩენს აკადემიკოსი გიორგი მელიქიშვილი **„ვლადიმერ ლენინისა და განსაკუთრებით იოსებ სტალინის, ისევ საბჭოური ფილოსოფიის მიერ ისტორიის მარქსისტული გაგების პროფანაციის (დამახინჯების, შებღალვის – მ.მ.) საკითხს“.**

რეცენზიის ავტორი **„მთლად ვერ იზიარებს“** გიორგი მელიქიშვილის შემდეგ მოსაზრებასაც: **„მიუხედავად ყველა მეცნიერებისთვის სავალდებულო ერთგულებისა ჭეშმარიტებისადმი, ისტორიულ მეცნიერებაში იმ მხრივაც რჩება ადგილი „პოეზიისთვის“, რომ მასში, როგორც მიიჩნევენ, ძალზე დიდია სუბიექტივიზმის მომენტი, – ბევრი სხვადასხვა ფაქტორი, მსოფლმხედველობა თუ განწყობილება, ხშირად ქვეცნობიერადაც კი განსაზღვრავს ისტორიკოსის თვალთახედვას, მის მიერ ისტორიული გავლენების აღქმა-ინტერპრეტაციას“.** ამ მოსაზრებით, რეცენზიის ავტორს ეჩვენება, **რომ „საკმაოდ ფერმკრთალდება ისტორიოგრაფიის, როგორც მეცნიერების მნიშვნელობა“.**

მაგრამ იმისთვის, რომ ვითომ არც კარგს უკარგავს ფრიად ღვაწლმოსილ მეცნიერს, რეცენზიის ავტორი მხოლოდ ერთადერთ შეგონებას უწონებს: **„თუ ხალხი დაკარგავს საკუთარი ღირსების რწმენას, საკუთარი თავის პატივისცემას და უცხო ენისა და კულტურის უპირატესობას ირწმუნებს, მძლავრად და „ნებაყოფლობით“ დაიწყება საკუთარი ეროვნული სახის დაკარგვის პროცესიც“** და თავის უთუოდ სწორ აზრს უმატებს, დიდად სამწუხაროდ, ჩვენი ეროვნული ცხოვრების დღევანდელობისთვის ეს შეგონება ერთობ აქტუალურიაო...

ხედავთ, ჩაკეტილ პიროვნებას და **„თავისებურ სფინქსს“** ლაპარაკიც სცოდნია და საზოგადოებისთვის ბევრი საყარგებლო შეგონების გამოთქმაც შესძლებია! მაგრამ ყოველივე ამას, ცხადია, დამნახავი უნდა.

ამ შეგონების ავტორისგან ხელდასხმულ ყორანაშვილს კი რიყეზე ქვის დანახვა არ უნდა!

რეცენზიის ავტორი იმასაც უწუნებს გიორგი მელიქიშვილს, რომ მან **„თავის დროზე არ გამოაქვეყნა რიგ ბოლმიან საბჭოთა ავტორთა (პოეტთა) მიმართ თავისი გამოხმაურება“.**

და მივადექით მთავარს: ჩემი აზრით, მთელი ეს გაზეთის ერთგვერდიანი ფასგადახდილი, ფოლგაში შეფუთული რეცენზია დაწერილია იმისთვის, რომ რეცენზიის ავტორს ბოლოს დაესკვნა: „მიუხედავად ყოველივე აღნიშნულისა, მაინც აშკარად გადაჭარბებაა. მავან აკადემიკოსთაგან გიორგი მელიქიშვილის საზოგადო მოღვაწედ გამოცხადება (SIC!)“.

აი, რატომ აღნიშნა რეცენზიის ავტორმა წერილის დასაწყისშივე, რომ გიორგი მელიქიშვილი იყო **„ჩაკეტილი პიროვნება, თავისებური სფინქსი, რომელიც ამ გამოცემით ალაპარაკდა“**. მანამდე კი მეცნიერი თურმე მუნჯად იყო, არც არაფერს წერდა, არც ლაპარაკობდა და საერთოდ არავითარ საზოგადოებრივ მოღვაწეობას არ ეწეოდა... აბა, ვინ იყო წლების მანძილზე ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, აბა, ვინ გამოდიოდა ისტორიკოსთა საერთაშორისო კონგრესებზე (სტოკჰოლმი, 1960 წელს) და საერთაშორისო სიმპოზიუმებზე (1951 წელს), ვინ დაჯილდოვდა ურარტუს გამოკვლევებისთვის ქვეყნის უმაღლესი ლენინური პრემიით?! გიორგი მელიქიშვილის ორეული?

ნუთუ ყორანაშვილმა არ იცის (თუ არ უნდა, რომ იცოდეს!) ის ამბავი, რომ, როგორც ცნობილია, გიორგი მელიქიშვილის ფუძემდებლურმა ნაშრომებმა ძველი აღმოსავლეთის ისტორიისა და ფილოლოგიის დარგში ახალი ეტაპი შექმნეს მსოფლიო ურარტუროლოგიაში, რომ გიორგი მელიქიშვილი ავტორია აგრეთვე მრავალი გამოკვლევისა ხურიტების, ხეთების, ასურეთის, ზაგროსის მთიანეთისა და ძველი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების ისტორიაში, რომ მან ასურული და ურარტური წერილობითი წყაროების მიხედვით გამოიკვლია უძველესი ქართველური პოლიტიკური გაერთიანებების – კულხას და დიაუხის ისტორიის საკითხები და კიდევ რამდენი ერთი...

არ ვიცი, რამდენად შესაძლებელია, მაგრამ, როცა ყორანაშვილის შეგირდობაზე ვფიქრობ, ნამდვილად შესაძლებლად მიმაჩნია მორიელზე ყორნის დამყნობა. ისე, კაცმა რომ თქვას, მეცნიერებისთვის სამომავლოდ, ალბათ, მაინცდამაინც შეუძლებელი არ უნდა იყვეს ამ ორი არსების დამყნობა თუ არა, შეჯვარება მაინც...

დიახ, ეს მორიელზე დამყნობილი შეგირდი ყორანაშვილი არც მთელი სიცოცხლე უსვენებდა აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილს და, როგორ ჩანს, არც სიკვდილის შემდგომ უსვენებს. ნუთუ არ იცის მან, რომ თავისი „პატარა და რბილი ენით“ გიორგი მელიქიშვილს ბუზსაც ვერ აუფრენს და, პირიქით, ისევ და ისევ თავს იაშკარავებს როგორც უმადური და გულღრძო რეცენზენტი თუ ოპონენტი.

გურამ გოგიაშვილი

სკოლებში შესაძლოა, ექიმის ინსტიტუტი აღდგეს

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, რომელსაც კომიტეტის თავმჯდომარე დიმიტრი ხუნდაძე უძღვებოდა ზოგადი განათლების შესახებ კანონში და შრომის კოდექსში შესატან ცვლილებებზე იმსჯელეს.

კანონპროექტების განხილვამდე, ფრაქცია „ჩვენი საქართველო - დამოუკიდებელი დეპუტატების“ თავმჯდომარის მოადგილემ ლევან კობერიძემ განცხადება გააკეთა ექიმ ვახტანგ ყიფიანის დაკავებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ იგი ფაქტობრივად უკანონო პატიმრობაში იმყოფება. მისი თქმით, ყველა ქვეყანაში აღიარებულია, რომ საექიმო შეცდომა ეს არის დეკრიმინალიზირებული თემა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზებით და ამაზე პარლამენტს ძალიან ბევრი აქვს სამუშაო.

„ამ შემთხვევაში მინისტრი უნდა აკეთებდეს ყველაზე მწვავე რეაგირებას ამ თემაზე და მინისტრი უნდა იყოს პირველ რიგში ამ პატიოსანი, წესიერი, პროფესიონალი ექიმის დამცველი“, - განაცხადა ლევან კობერიძემ.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის განცხადებით, ცუდი ფაქტია, როდესაც ექიმის დაკავებას აქვს ადგილი და მან იმედი გამოთქვა, რომ **„სამართალდამცავები სწორ სამართლებრივ შეფასებას გააკეთებენ და სიმართლე არ დაიკარგება“.**

კომიტეტმა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი კანონპროექტი „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ პირველი მოსმენით, პრინციპების დონეზე განიხილა.

საკითხზე მომხსენებლის, განათლების მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე გენადი მარგველაშვილის განცხადებით, ცვლილება ითვალისწინებს სკოლებში სამედიცინო სერვისების შემოტანას. კერძოდ, კანონის მიხედვით, ყველა სკოლა იქნება ვალდებული მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვისა და სრულყოფილი განვითარებისათვის სკოლის ტერიტორიაზე უზრუნველყოს სამედიცინო პუნქტების ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა.

კომიტეტის წევრების შეფასებით, ეს გადაწყვეტილება არა თუ მნიშვნელოვანი, არამედ აუცილებელიცაა. დიმიტრი ხუნდაძის განცხადებით, სკოლებში საექიმო კაბინეტები 2002 წლამდე არსებობდა, შემდეგში კი მათი გაუქმება ნამდვილად არასწორი იყო და აუცილებელია, რომ სკოლებში აღვადგინოთ ექიმის ინსტიტუტი.

№ 118. ხუთშაბათი-პარასკევი, 24-25 სექტემბერი, 2020 წელი.



კაი ყმა

ბორის ფოცხვერაშვილი – 85

„ნება მიბოძეთ. მოგახსენოთ ჭეშმარიტება“!.. უილიამ შექსპირი.

ბიჯი დედ-მამას ხელჩაკიდებული მიჰყვებოდა. მამა ახოვანი იყო. ყმაწვილი მხოლოდ მის პრიალა ფეხსაცმელს ხედავდა.

ბათუმის რკინიგზის სამგზავრო სადგური. ისინი მატარებლის ღია ვაგონში ადიან. ბიჭს მოსწონდა ასეთი ვაგონით მგზავრობა. საითაც გსურდა, იქით გაიხედავდი. ნისლით შებურვილი ლამაზი მთები, ზღვა და რეიდზე მდგომი „მთვლემარე“ ხომალდები. გვირაბი... მწვანე ტევრში ჩაკარგული მატარებელი სამტრედიისკენ მიიჩქარის. იქ, სოფელ იანეთში, მისი დედულეთია, სადაც ბებია ნატა და ბიძა მიხეილი ელოდებათ.

ჩემი ნარკვევის ადრესატის, ბატონი ბორის ფოცხვერაშვილის მეხსიერების მსგავს მოგონებათა განცდას წერტილი დიდმა სამამულო ომმა დაუსვა, რომელმაც, მრავალთა შორის, მისი ცხოვრებაც ააყირავა.

მამა ვიქტორ ფოცხვერაშვილი, პარტიის ქედის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე, ომში მოხალისედ მიდის.

დედა, ბათუმის რკინიგზის ვაგზლის უფროსი, ქსენია კოპალეიშვილი, იძულებულია, ერთადერთი პირმშო მოსავლელად და საპატრონოდ, სოფელში, დედასთან გაგზავნოს.

ომის მრისხანე, პირველი გამაოგნებელი დარტყმა, მისი დაწყებიდან ორი წლის შემდგომ იგრძნო, როცა ავბედითმა წერილმა-მაცნემ, ბელგოროდთან წარმოებულ ბრძოლებში მამის გმირულად დაღუპვა ამცნო. მეორე, როცა 9 წლის ასაკში, იმ დროს მოარული მძიმე სენით, ტუბერკულიოზით დაავადებულმა დედამ, სიკვდილის წინ, თავისთან იხმო, მოშორებით დააყენა და დაარიგა.: „კარგად ისწავლე, ბებიას და ბიძას გაუგონე და ცხოვრებაში ყველას მიმართ მხოლოდ სიკეთე აკეთეო“...

დარიგების პირველი ორი ნაწილი, პატარა ბიჭისთვის გასაგები იყო. სიკეთის კეთების მადლი კი მაშინ გაითავისა როცა ცხოვრებაში სამსახურებრივად და ეკონომიკურად ამის საშუალება მიეცა.

...მომკითხავი არვინაა და ბათუმში დედმამისეული საცხოვრებელი ბინა ისე გაუსხვისეს, მასში განთავსებული ნივთებიც გააყოლეს. შემდგომ კი ბებიას გულისაგან მოწყვეტა და მისი უდედმამო ბავშვთა სახლში მიბარება განიზრახეს, რასაც მოხუცი წინ აღუდგა. „ჩემს სისხლსა და ხორცს მე თავად მივხედავო“.

იანეთის საშუალო სკოლაში, როგორც მოსწავლეს, ტოლი არ ჰყავდა. ამასთან, მიუხედავად ასაკისა, საკუთარი გრძნობების, პირადი „მეს“ დაცვასაც ახერხებდა.

მეექვსე კლასელმა, თითით საჩვენებელმა მოსწავლემ, გერმანული ენის სწავლაზე კატეგორიული უარი განაცხადა. „გერმანელებმა მამა მომიკლეს და მე მაგათ ენას არ ვისწავლიო“. ბედად აღმოჩდნენ კეთილი ადამიანები და გაუგეს...

წინააღმდეგობას წააწყდა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების ჩაბარებისას, როცა ოცდაათი შესაძლებლობიდან ოცდაშვიდი. ე. წ. „გამსვლელი ქულა“ დააგროვა, მაგრამ რამდენიმე ამიტურიენტთან ერთად, ისიც არჩარიცხულთა შორის მოხვდა.

მომდევნო წელს, უმაღლესი განათლების მისაღებად ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტს მიაკითხა, იმ პირობით, რომ მშობლიურ ბინასაც დაიბრუნებდა და იურიდიული განათლების მისაღებად უნივერსიტეტს კვლავ მოუბრუნდებოდა.

მისაღებ გამოცდებზე ქულათა მაქსიმუმის დაგროვებით ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. რაც შეეხება ბინის საკითხს, აქაც უმწარესი დარტყმა იგემა, როცა, უგულო ადამიანების ჯადოსნურ წრეში მოხვდა: „შენისთანებით ქალაქი სავსეაო“ და არც მოუსმინეს.

ფიციერთ ნათქვამი სიტყვა მოგვიანებით აისრულა, როცა უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტი გახდა. ხოლო, როგორი სტუდენტი იყო, ამის საილუსტრაციოდ ერთ ფაქტს მინდა ვუხმო: ერთ-ერთი ძირითადი საგნის „სისხლის სამართლის“ ლექტორმა, უნივერსიტეტში სამართლიანობითა და საგნის ცოდნისადმი შეუვალობით ცნობილმა ვალერიანე ედიშერაშვილმა შეფასება, „ფრიადი“ დაუწერა, სხვათა გამოცდები კი მეორე დღისთვის გადაიტანა და გარეთ მომლოდინე სტუდენტებს განუცხადა: „ფოცხვერაშვილმა ისეთი განწყობა შემიქმნა, თქვენგან ხასიათის გაფუჭება არ მინდაო“.

როგორც ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი, ხუთი წლის მანძილზე ფრიადოსნების სტიპენდიასაც იღებდა და ინსტიტუტისა და კომკავშირის ქალაქკომის საზოგადოებრივ საქმიანობაშიც აქტიურად მონაწილეობდა.

ნიჭიერი ახალგაზრდა, რომელსაც განათლების სფეროში თავისი სიტყვა უნდა ეთქვა, რაიონში მალევე შენიშნეს და მისი მომავალიც სხვამხრივ წარიმართა.

1962 წელს სამტრედიის ახალგაზრდობის ლიდერად, კომკავშირის რაიკომის პირველ მდივნად აირჩიეს. ჩვენი მეგობრობაც აქედან დაიწყო.

ბორის ფოცხვერაშვილი შვილიშვილებთან

მე მაშინ გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ კორესპონდენტი ვიყავი.

კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი ღონისძიებების ჩასატარებლად, ხშირად, სამტრედიის რაიონს ირჩევდა, რომელთა მაღალ დონეზე მოწყობა-ჩატარების გამო, ნარკვევის ადრესატის ირგვლივ მისადმი დადებითად და კეთილად განწყობილი ადამიანების წრე იკვრებოდა, ისინი ბორის ფოცხვერაშვილს პერსპექტიულ კადრად მიიჩნევდნენ.

დღევანდელი დღესავით მახსოვს ახალგაზრდა ფოცხვერაშვილის ჭირისუფლებრივი თანადგომა კომკავშირის რაიკომის მეორე მდივნის რაულ შენგელიას მიმართ, რომელიც ავტოავარიაში მოჰყვა და ექვსი თვე თბილისის ტრავმატოლოგიურ საავადმყოფოში მკურნალობდა, რომლის დახმარება-თანადგომისთვის რაიონის ახალგაზრდობამ სპეციალური ფონდიც კი შექმნა. მახსოვს მისი შემართება, როგორი ენთუზიაზმით ედგა გვერდით ნიჭიერ ახალგაზრდობას. ერთ-ერთ მათგანს, შეჭირვებულ ოჯახიშვილს, ძერწვით გატაცებულ ახალგაზრდას, რომან თევზაძეს, სოფელ გომიდან, თბილისის თოიძის სახელობის ხელოვნების სასწავლებელში მოსაწყობად თავად გაჰყვა. მას შემდეგ მათი კეთილი განწყობა და ურთიერთობა დღესაც იმ დონეზე გრძელდება, რომ ოჯახითურთ თბილისში მცხოვრები, სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული და საკმაოდ წარმატებული ხელოვანი, სამტრედიაში სტუმრობისას მის კეთილისმყოფელს არ ივიწყებს.

საგულისხმოა ახალგაზრდების თავკაცის მზრუნველობა სასჯელმოხდილი ჭაბუკისადმი, „კაი ბიჭობის“ სახელის მაძიებელთა ე. წ. „შავი სამყაროს“ გავლენიდან ხსნისა და მათ შრომით საქმიანობაში ჩასაბმელად.

სამართალმა უკვე გზაკვლევა იწყო, როცა ბორის ფოცხვერაშვილს, უკვე სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარის რანგში, პარტიის ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში უხმეს და ერთ-ერთი რაიონის პარტიის რაიკომის პირველი მდივნობა შესთავაზეს. ცეკას პირველ მდივანთან ედუარდ შევარდნაძესთან გასაუბრებაზე მზადმყოფს პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა (გვარს შეგნებულად არ ვასახელებ). დაასწრო და მისი პიროვნება რესპუბლიკაში მიმდინარე სიახლეთა მოწინააღმდეგედ დაუხასიათა. არადა, სათქმელი მართლაც ჰქონდა, რამეთუ, მის ინიციატივას, სამტრედიის რაიონში მეიხვეობის დარგის განვითარების თაობაზე. საჯაროდ, ერთადერთი ბორის ფოცხვერაშვილი შეეწინააღმდეგა, რომელიც, სპეციალისტების დასკვნებზე დაყრდნობით ამტკიცებდა, რომ დაავადება ხოლერასადმი მიდრეკილების მქონე ამ ფრინველისთვის რაიონის კლიმატი შეუსაბამო იყო.

ახალ სამსახურზე ფიქრობდა, როცა მეიხვეობის ფერმებში დაავადებამ იფეთქა და მილიონობით დახარჯული თანხა წყალში გადაყრილი აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, პირველი მდივანი პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გადაიყვანეს, ხოლო ბატონი ბორიას პიროვნება, მოგვიანებით, (ბატონმა ბორიამ 20 წელი იმსახურა სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარედ) რესპუბლიკის პარტიულ ხელმძღვანელობაში მომხდარი ცვლილებების შემდეგ, ახალი ხელმძღვანელობის რეკომენდაციით, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩიეს.

ეს ის დროა, როცა ქვეყანაში ეროვნული მოძრაობის აღმავლობა იწყება და ე. წ. „არაფორმალები“ ქვეყნისა და რაიონული რგოლის ხელმძღვანელობის გადადგომას ითხოვენ. მიუხედავად იმისა, რომ წერილის ადრესატის მიმართ რაიონის მოსახლეობა და მოქმედ პარტიათა ნაწილი, დადებითად იყვნენ განწყობილნი, რაიონის „სახალხო ფრონტის“ მოთხოვნით პარტიის ცენტრალური კომიტეტის მინისტრთა საბჭოს და რესპუბლიკის პროკურატურის წარმომადგენელთა მონაწილეობით შექმნილმა კომისიამაც ფოცხვერაშვილის მიმართ წაყენებული ყველა ბრალდება აბსურდულად მიიჩნია, არსებული ვითარების განმუხტვის მიზნით, იგი თანამდებობას თავად ტოვებს და საქმიანობას გაზეთ „კომუნისტის“ სამტრედიის საკორესპონდენტო პუნქტის ხელმძღვანელად იწყებს...

ბატონი ბორიასადმი რაიონის საზოგადოების ნდობა-პატივისცემა, ერთხელ კიდევ, მაშინ წარმოჩინდა, როცა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების შემდეგ შექმნილი მმართველობის ორგანოს, სამხედრო საბჭოს წევრსა და დაჯგუფება „მხედრიონის“ ლიდერს ჯაბა იოსელიანს მისი კანდიდატურა რაიონის სამხედრო რწმუნებულად შესთავაზეს, რასაც მხოლოდ მას შემდეგ დათანხმდა, როცა შეკრებილმა აქტივმა, მისი კატეგორიული უარი, ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის ფონზე, რაიონის ინტერესების უგულებელყოფად და ქვეყნის ღალატად მიიჩნია.

პირველი და მთავარი, რაც მოკლე დროში მოაგვარა, რაიონისთვის ელექტროენერგიის გრაფიკით მიწოდების, კვების პირველადი მოთხოვნილების პროდუქტებით: პურით, შაქრით, ბურღულეულით უზრუნველყოფის საკითხი იყო, რისი უშუალო მოწმეც თავად გავხდი, როცა ჩემს სოფელში, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ქვიანში ჩასულს, ასეთივე, ენით აუწერელი მდგომარეობა დამხვდა. გადავწყვიტე, ჩემი „ლუაზით“ სამტრედიაში ჩავსულიყავი და ჩემთან ერთად უმწეო მდგომარეობაში მყოფი ახლობელი ოჯახებისათვის სურსათი შემეძინა. უკან მობრუნებულს წინ ავტომატმომარჯვებული მხედრიონელები გადამიდგნენ და ყველაფერთან ერთად, მანქანის წართმევაც მოინდომეს. ღმერთმა გადმომხედა, როცა მახლობლად გაჩერებული მანქანიდან ჩემი მეგობარი, ბატონი ბორის ფოცხვერაშვილი გადმოვიდა, გადამეხვია და ჩემი „განკულაკების“ მსურველთ, აქაოდა გზაზე რაიმე ახალ ხიფათს არ გადაეყაროსო, სოფლამდე მიცილება დაავალა.

რამდენადაც ჩემი მეგობრის ხასიათსა და ბუნებას ახლოს ვიცნობდი, წინასწარ ვგრძნობდი, რომ ჯაბასთან და მისგან ხელდადებულ „მხედრიონთან“ საერთო ენის გამოძებნა გაუჭირდებოდა. ასეც მოხდა. როცა თბილისში სპეციალურად ჩასულმა, ჯაბას რაიონში არსებულ მეტად მძიმე კრიმინოგენურ ვითარებაზე მოუყვა და ისიც უთხრა, რომ მომხდარი დანაშაულებანი „მხედრიონთან“ ასოცირდებოდა, მან ბრალი აქეთ დასდო: „ჩემი ბიჭები სამშობლოს მთლიანობასთვის ბრძოლას თავს სწირავენ შენ კი, მათ „მცირედ“ გადაცდომებზე (?!!) „მელაპარაკებიო“!

„სადაც არა სჯობსო“... და უშიშარი ბორის ფოცხვერაშვილი სამსახურიდან მიდის.

ხდება ის, რასაც ნაკლებად თუ წარმოიდგენდა, რადგან დღემდე ვერ გარკვეულა, როგორ, ვისი ხელდასხმით და რეკომენდაციით, რაიონში ახლად შექმნილი, საკმაოდ პრესტიჟული სამსახურის, სახელმწიფოს ქონების მართვის რაიონული სამმართველოს უფროსად ნიშნავენ, სადაც მთელი ცამეტი წელი ისე იმსახურა, რომ რესპუბლიკის მაკონტროლებელი ორგანიზაციებიდან მცირედი შენიშვნაც კი არ მიუღია.

პენსიაზე გასულს, ფილოლოგს, ისტორიკოსს, იურისტსა და რესპუბლიკაში პირველი გაზეთის „კომუნისტის“ ყოფილ თანამშრომელს კალამი საკმაოდ „უჭრიდა“... ისიც, მეტად საყურადღებო სამი წიგნის: „აბი გლუკოზა“, „თეატრალური სამტრედია“ და „წარსული, რომელიც დასავიწყებლად არ მემეტება“ ავტორი გახდა.

ბორის ფოცხვერაშვილის საიუბილეო თარიღის, 85 წლის შესრულებისადმი მიძღვნილი წერილი სრულყოფილი ვერ იქნება, თუ მის არქივში არსებულ წერილებსა და სხვა სახის გზავნილებს არ ვუხმე, რომლებშიც, მათდამი გაწეული თანადგომა-დახმარებებისთვის სხვადასხვა ასაკისა და რანგის ადამიანები მისადმი მადლიერებას ვერ ფარავენ. დროისგან გაყვითლებული ამ წერილების ავტორები, მას, არა როგორც სახელმწიფო მოხელეს, არამედ, პირველ რიგში, გულისხმიერ, შეჭირვებულთა გამგებსა და თანამდგომს ისე მიმართავენ.

„სამართალმა პური ჭამა“ – ასეთი განწყობა თან სდევს იმ წერილების უმრავლესობას, რომელთა ავტორები იმ დროის საქართველოში საკმაოდ ცნობილი პიროვნებანი იყვნენ, რომლებიც მისი რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ დანიშვნით კმაყოფილებას ვერ ფარავენ, პროფესორები ტრიფონ რუხაძე, ვალერი ლორია, კუკური ლილუაშვილი, ოთარ აბუთიძე, რომან შენგელია, მიხეილ კეკელია, ზაურ წულაია და სხვანი, ცნობილი პოეტი ზაურ ბოლქვაძე, პარტიული მუშაკები, უმაღლესი სამჭოს დეპუტატები, ხელოვნების დარგის წარმომადგენლები, მეცნიერები...

მე, დავით ასკურავას, ამ წერილის ავტორს, უფლება არ მაქვს, ბატონ ბორიაზე საუბრისას პატივი არ მივაგო აწ გარდაცვლილ, 55 წლის მანძილზე მის გვერდში მდგომ, კდემამოსილებით აღსავსე პიროვნების, ქალბატონ ფლორა ლეკვეიშვილის ხსოვნას, რომელმაც სამშობლოს ორი, მამასავით გამორჩეული, მოყვასი ვაჟკაცი დათო და მამუკა აღუზარდა, რომელთა მიმართ წიგნში, „წარსული, რომელიც დასავიწყებლად არ მემეტება“, ბატონი ბორია ბრძანებს: „ბედნიერი ვარ, რომ ჩემი შვილებისა და შვილიშვილების ბორის (ბუკა), სალომე, გვანცა, თინათინი (თიკო) ცხოვრებაში რაიმე მცირედი გადაცდომის გამოც კი, უხერხულ მდგომარეობაში არასოდეს ჩავვარდნილვარ“...

რამდენიმე დღის წინათ ინტერნეტში ბატონი ბორიას შვილიშვილის, პროფესიით იურისტის, გვანცას მიერ მისადმი მიძღვნილი წერილი წავიკითხე: „პატარა რომ ვიყავი, სულ მიკვირდა, რომ ბაბუს სამტრედიაში ყველა სცნობდა და ქუჩაში გავლილს მოკრძალებით, დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ესალმებოდა. სულ მაგულისყურებდა, ცხოვრების რთულ პირობებში, როგორ შეძლო ხალხის ესოდენ დიდი სიყვარულისა და პატივისცემის მოპოვება, ასეთ პიროვნებად ჩამოყალიბება. ძალიან მიყვარს ჩემი ბაბუ და მეამაყება, რომ მისი შვილიშვილი ვარ“.

...როცა 1988 წელს აჭარის დამეწყრილი რაიონებიდან, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით, სამტრედიაში 16 ოჯახის დამისამართება გადაწყდა, ბატონმა ბორიამ, როგორც რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ, სამსახურებრივ მოვალეობასთან ერთად, აჭარისა და აჭარლებისადმი დიდი პატივისცემის ნიშნად, დავალება იმდენად კარგად და სრულყოფილად შეასრულა, რომ მიგრანტებმა რესპუბლიკის ტელევიზიაში გამოსაქვეყნებლად სამადლობელი წერილი გამოაგზავნეს, რომელიც ცნობილმა დიქტორმა დავით სოკოლოვმა შემდეგი სიტყვებით დაასრულა: „ღმერთმა ქვეყანას ასეთი ვაჟკაცები უმრავლოსო“.

არადა, დღევანდელ საქართველოს ასეთი ადამიანები მართლაც როგორ სჭირდება!..

დავით ასკურავა.
მობ. 558 755 744

№ 118. ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ-ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 24-25 ᲡᲕᲘᲢᲚᲘᲗᲘ, 2020 ᲬᲚᲘᲡ

ტიტა რუფო თუ „ნიაგარას ჩანჩქერი?!“

რუფო დაიბადა იტალიის ქალაქ პიზაში 1877 წელს, ხელოსნის ოჯახში. მეტად საინტერესოა მისთვის სახელის დარქმევის ისტორია. მამამისმა – ორესტე ტიტამ შვილს გარდაცვლილი მონადირე ძაღლის სახელი – რუფო დაარქვა. დედა კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა და დაბადებიდანვე კაფიეროს ეძახდა, მაგრამ საბოლოოდ მამის მოსაზრებამ გაიმარჯვა და მას სახელი რუფო ბოლომდე შემორჩა.

მკაცრი და გაუხარელი იყო მისი ბავშვობა. იმისათვის, რომ დახმარებოდა გაჭირვებულ ოჯახს, უკვე ცხრა წლის რუფო მუშაობას იწყებს მამისეულ რკინის სამჭედლოში, სადაც იგი მეტად მძიმე, ჯოჯოხეთურ შრომას ეწეოდა. მამის და იქ მომუშავეთა მხრიდან სისტემატურად განიცდიდა საშინელ დამცირებას და ძალადობას. მამა პრივილეგიებს მხოლოდ უფროს ვაჟიშვილს – ეტორეს ანიჭებდა. რუფოს მიმართ სითბოს და სიყვარულს მხოლოდ დედა გამოხატავდა. ოჯახში არსებული ვითარების გამო, რუფოს სკოლაში სწავლის საშუალება არ მიეცა, აღარაა ლაპარაკი მის მუსიკალურ განათლებაზე. დასაწყისში იგი არავითარ მუსიკალურ მონაცემებს არ ამჟღავნებდა. მისი მომავალი უპერსპექტივო ჩანდა.

როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ფაქტიურად მოულოდნელმა შემთხვევამ გადაწყვიტა მისი ბედი, როდესაც ოპერა „სოფლის პატიოსნების“ სპექტაკლიდან დაბრუნებულს, სასიმღერო ხმა აღმოაჩნდა. სახლში მისულმა ოთახის სარკმელი გამოაღო და მთელი ღამის განმავლობაში მოსმენილი საოპერო გმირის (ტენორის) პარტიას იმეორებდა შეუსვენებლად. რუფოს ვოკალურ წინსვლას მამა კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა. მას მხოლოდ დედა ამხნევებდა და თანაუგრძნობდა.

უამრავი წინააღმდეგობის გადალახვის და უდიდესი ნებისყოფის წყალობით, ტიტა რუფომ ბოლოს თავის საოცნებო მიზანს მაინც მიაღწია. აღმოჩნდა, რომ ბუნებრივად მას უკვე ჰქონდა ულამაზესი ჟღერადობის ხმა. საჭირო იყო მხოლოდ ბიძგი. ვიდრე თეატრის კარს შეაღებდა, ბევრი პედაგოგი გამოიცვალა და საკმაოდ ახალგაზრდამ დაიწყო გამოსვლა საოპერო სპექტაკლებში. **უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთში საგასტროლოდ მისი პირველი მოწვევა, ჩვენი სასიქადულო პოეტის, „საქართველოს ბულბულის“ აკაკი წერეთლის ვაჟიშვილის, ნიჭიერი ორგანიზატორის, იმპრესარიო ალექსი წერეთლის მიერ განხორციელდა. მან 1906/07 წლის სეზონზე პეტერბურგში გასტროლების დროს რუფო ტიტა თბილისში ჩამოიყვანა, რომელმაც ვანო სარაჯიშვილთან ერთად მონაწილეობა მიიღო ოპერაში „რიგოლეტო“. ვანოს და რუფოს მეგობრობა იტალიაშიც გაგრძელდა. იქ ყოფნის დროს სარაჯიშვილი თითქმის მთელი ზაფხული ისვენებდა და თავისთავად რჩევებსაც იღებდა, მილანის ახლოს ლაგო დი კომოს ტბასთან მდებარე რუფოს ვილაში. ამ დროს იქ შალიაპინიც იმყოფებოდა. უდავოა, რომ სამივეს ახლო მეგობრობა აკავშირებდათ.**

ზოგად სწავლა-განათლებაზე გულნაკლული რუფო ბევრს კითხულობდა, ყურადღებით ეცნობოდა თავისი ქვეყნის ისტორიულ მასალებს, ცნობილი მწერლების რომანებს და თხზულებებს, დრამატულ ნაწარმოებებს, ოპერის ლიბრეტოებს და სცენარებს. მას გააჩნდა გამორჩეული მუსიკალური სმენა და განსაკუთრებული მახსოვრობა, ყველაფერი ის, რაც ასე საჭირო და აუცილებელია დიდი მომღერლისთვის... ამით რუფომ უამრავი დაუვიწყარი საოპერო სახე შექმნა და მათი გარდასახვის ამოუწურავი შესაძლებლობები წარმოაჩინა. მსმენელზე გამაოგნებელ შთაბეჭდილებას ახდენდა მისი მდიდარი და ულამაზესი ტემბრის განსაკუთრებული მეტალისებური სიძლიერის, განუსაზღვრელი დიაპაზონის ხმა (მას თავისუფლად შეეძლო პირველი ოქტავის სი-ბე მოლის აღება). იგი ყოველგვარი დაძაბვის გარეშე ახდენდა უმაღლესი ტექნიკით შესრულებულ ბრწყინვალე ფრაზირებას, რასაც მომღერალი აღწევდა „დაუსრულებელი“ სუნთქვის გამოყენებით... ოპერის რთული ადგილები, მაღალი და დაბალი რეგისტრის ნოტები გამოირჩეოდა დიდი ემოციურობით და გასაოცარი არტისტიზმით. რუფოს ხმას ნიაგარის ჩანჩქერს ადარებდნენ. ეს ჰიპერბოლური გამონათქვამი მისი შემოქმედების ბოლო პერიოდამდე შემორჩა. ამიტომაა, რომ მომღერალმა უამრავი საინტერესო საოპერო სახე შექმნა, მათ შორის ნაკლებად ცნობილიც. ჩამონათვალი მართლაც რომ შთამბეჭდავია: მასნეს „ღვთისმშობლის მასხარა“; სენ-სანსის „სამსონ და დალილა“; ჯორდანოს „ანდრე შენიე“; „ციმბირი“; ტომას „ჰამლეტი“; პონკიელის „ჯოკონდა“; მეიერბერის „აფრიკანკა“; ლეონკოვალოს „მეფე ედიპი“, „ჯამბაზები“, „ზაზა“; მასკანის „სოფლის პატიოსნება“, „ირისი“; პუჩინის „ტოსკა“, „ბოჰემა“; ვაგნერის „ლოინგრინი“; გუნოს „ფაუსტი“; დონიცეტის „ლუჩია დი ლამერმური“; როსინის „სევილიელი დალაქი“; რუბინშტეინის „დემონი“; ვერდის „რიგოლეტო“, „აიდა“, „ოტელო“, „ტრუბადური“, „ნაბუკო“, „ტრავიატა“, „ფალსტაფი“, „ბედის ძალა“, „დონ კარლოსი“, „ერნანი“, „ბალ მასკარადი“ და სხვა.

თავისი სასიმღერო მოღვაწეობის 33 წლის მანძილზე რუფომ უდიდესი წარმატებით და ტრიუმფით შემოიარა არა ერთი ქვეყნის საოპერო თეატრები. წლების მანძილზე მისი ფენომენალური ხმა, რომელსაც ვერც მანამდე და ვერც მის შემდეგ, ვერავის შეადარებ, უშურველად ემსახურებოდა მაღალი ვოკალური ხელოვნების წარმოჩენას, მის განვითარებას და ტრადიციის დამკვიდრებას. ყველაფერმა ამან რუფოს მსოფლიო აღიარება მოუტანა. **ცნობილ პოლონელ მხატვარს ტადეუშ სტიკას ამაოდ არ შეუქმნია „დიდი სამეულის“ – ენრიკო კარუზოს, ტიტა რუფოს და თეოდორე შალიაპინის ჯგუფური სურათი, რომელიც 1912 წელს შესრულდა. იგი შემდგომ დაიბეჭდა საფოსტო ბარათებზე და გავრცელდა მთელ მსოფლიოში.**

მაინც რის საფუძველზე ასახა მხატვარმა ეს სამი ხელოვანი ერთად? ამაზე პასუხს შესანიშნავი მომღერალი, პედაგოგი და ვოკალური ხელოვნების თეორეტიკოსი ჯაკომო ლაური - ვოლპი იძლევა თავის ცნობილ წიგნში „პარალელური ხმები“, სადაც ის აღნიშნავს: „რუფო თავისებურად ერთადერთი მომღერალია, რომელიც იმ დროს ყველა მომღერლისგან გამოირჩეოდა. მან ბარიტონალური ხმა თეატრალური ფასეულობის უმაღლეს საფეხურამდე აიყვანა. იგი იყო „ისტორიული ხმა“ ბარიტონებს შორის, ისე როგორც კარუზო ტენორებს შორის და შალიაპინი ბანებს შორის“. ცნობილი იტალიელი ბარიტონი ტიტო გობი რუფოს შესახებ აღნიშნავს: „ამ უდიდესი მომღერლის, მსახიობის და ადამიანის შენადნობში ტიტას პიროვნებისთვის ადამიანური გონების რაღაც მიუწვდომელი იმალება. მის მიბაძვას აზრი არა აქვს, რადგან შედეგად მივიღებთ მიუღწეველი სიმაღლის რაღაც საბრალო პაროდიას. მაშ, რა უნდა გააკეთონ იმ მომღერლებმა, რომლებიც ბუნებამ ასე გულუხვად არ დააჯილდოვა? ჩემი ღრმა რწმენით, ერთი რამ რჩება – გულდასმით შეისწავლონ ტიტა რუფოს ცხოვრება და მოღვაწეობა, მასავით მიისწრაფვოდნენ მაქსიმალური გახსნილობისკენ და საკუთარი შესაძლებლობების გამრავალფეროვნებისკენ“.

წარმოუდგენლად ფართოა მომღერლის მიერ დატოვებული გრამჩანაწერების რაოდენობა, რომელიც ოცდაათზე მეტ საოპერო ნაწარმოებს და ნეაპოლიტანურ სიმღერას მოიცავს. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საოპერო ანსამბლები რუფოს და სხვა აღიარებული მომღერლების მონაწილეობით, მათ შორის უნდა აღვნიშნოთ ცნობილი დუეტი „ოტელოდან“ ენრიკო კარუზოსთან ერთად, რომელიც თავისი ჟღერადობით, აგერ უკვე რამდენიმე ათეული წელია, განსაკუთრებულად ამაღლებულ სულიერ სიამოვნებას ანიჭებს მსმენელს.

ცალკე შეფასებას იმსახურებს რუფოს, როგორც მოქალაქის, პატრიოტის, თავის ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული პიროვნების ღვაწლი. ალბათ ერთეულთა ხვედრი თუ იქნება ის გმირობა, რაც მან პირველი მსოფლიო ომის დროს გამოიჩინა საკუთარი სამშობლოს წინაშე. მსოფლიოში უკვე სახელგანთქმულმა მომღერალმა თავისი საქმიანობა მიატოვა, ხელშეკრულებით გაფორმებული კონტრაქტები გააუქმა და 1916 წელს ჩავიდა იტალიაში, სადაც 1919 წლამდე იცავდა მშობლიური ქვეყნის ინტერესებს, როგორც რიგითი ჯარისკაცი.

რუფო ცნობილია, როგორც ანტიფაშისტური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. იგი მძაფრად განიცდიდა ქვეყანაში ფაშისტური რეჟიმის გამყარებას და ყველა საშუალებით ებრძოდა მას. მუსოლინი, მათთან თანამშრომლობის სანაცვლოდ, საქვეყნო აღიარებას და პრივილეგიებს სთავაზობდა, მაგრამ რუფომ მისი შემოთავაზება კატეგორიულად უარყო. საპასუხოდ მას დევნა დაუწყეს, რა დროსაც სიკვდილს შემთხვევით რამდენჯერმე გადაურჩა. მუსოლინის დამხობას და იტალიის ფაშიზმისგან განთავისუფლებას იგი დიდი ენთუზიაზმით და სიხარულით შეხვდა.

* * *

2013 **ᲬᲔᲚᲡ** ვთარგმნე და გამოვაქვეყნე მომღერლის 1937 წელს იტალიაში გამოცემული მონოგრაფიული თხზულება – „ჩემი ცხოვრების პარაბოლა“, რომელშიც იგი სრულად გადმოსცემს თავის ხასიათს, თვისებებს, განცდებს, შემოქმედებითი ცხოვრების რთულ გზას, დამოკიდებულებას ყველა მის გარშემო მყოფთა მიმართ. წიგნში აშკარად მოსჩანს უდიდესი მომღერლის და პატრიოტის ადამიანური სახე, რომლის წაკითხვა და გაცნობა უდავოდ ბევრ რამეს შესძენს ნებისმიერ მკითხველს, განსაკუთრებით კლასიკური მუსიკის მოყვარულთ.

ტიტა რუფო გარდაიცვალა 1953 წელს, 76 წლის ასაკში. დაკრძალულია მილანში.

ᲒᲔᲚᲐ ᲯᲝᲯᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,

ვოკალისტთა კონკურსების ლაურეატი, ქართული კულტურის ამაგდარი, მეცნიერების ასოცირებული დოქტორი, სიღნაღის საპატიო მოქალაქე.

ᲢᲔᲚ. 551 49 19 97

ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲩᲐᲜᲗᲔᲑᲘ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲑᲐᲦᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲖᲠᲓᲔᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲑᲐᲦᲔᲑᲨᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲡ ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲩᲐᲜᲗᲔᲑᲘ ᲓᲐᲣᲠᲘᲒᲓᲔᲑᲐᲗ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲨᲘᲪ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲛᲔᲗᲝᲓᲣᲠᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ (ᲤᲐᲜᲥᲠᲔᲑᲘ, ᲛᲐᲙᲠᲐᲢᲚᲔᲑᲘ, ᲞᲐᲡᲢᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ) ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲛᲝᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘ. ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲣᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ „ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲐᲠᲮᲡ“ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲑᲐᲒᲐ-ᲑᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲛᲐ ᲙᲐᲮᲐ ᲒᲕᲐᲜᲪᲔᲚᲐᲫᲔᲛ ᲒᲐᲜᲣᲪᲮᲐᲓᲐ.

მისივე თქმით, ნივთები ყველა ბავშვისთვის ინდივიდუალური იქნება, რათა საერთო საგნების მოხმარება მაქსიმალურად შეიზღუდოს. გვანცელაძის ინფორმაციით, მკაცრდება თეთრეულის რეცხვის წესი და საბავშვო ბაღებს რეგულაციით გაწერილი წესების ზედმიწევნით დაცვით კომპანია მოემსახურება.

ამასთან, კატეგორიულად იკრძალება სახლიდან წაღებული ნივთების ბაღში შეტანა, ბაღის კუთვნილი სათამაშოების დეზინფექცია კი დღის განმავლობაში რამდენჯერმე განხორციელდება.

კახა გვანცელაძის განცხადებით, უსაფრთხოების ზომების გაძლიერების მიზნით, ბაღის შენობაში მშობლებს არ შეუშვებენ – ბავშვს შენობის შესასვლელთან დახვდება ეკიპირებული თანამშრომელი, რომელიც აღსაზრდელს მის ჯგუფამდე მიაცილებს, სადაც მას აღმზრდელი გადაიბარებს. ბაღში მომუშავე ყველა პირი სამუშაო დღის განმავლობაში აღჭურვილი იქნება ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით.

გვანცელაძის განცხადებით, სამზარეულოებში ჭურჭელი სამგანყოფილებიან ნიჟარაში, 65 გრადუს ცელსიუსის ტემპერატურის წყალში გაირეცხება, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება მოუწევთ დისტრიბუტორებსაც. მშობლები ბავშვების გაყვანასაც მხოლოდ მათთვის განსაზღვრულ დროის მონაკვეთში შეძლებენ.

გვანცელაძის თქმით, რეგულაციების შესრულება საგენტოს 5 მილიონ ლარზე მეტი დაუჯდება.

ლუკაშენკო მოვალეობების შესრულებას შეუდგა

ალექსანდრე ლუკაშენკო ბელარუსის პრეზიდენტის მოვალეობების შესრულებას ოფიციალურად შეუდგა. ინაუგურაციის ცერემონია დამოუკიდებლობის სასახლეში გაიმართა. როგორც ადგილობრივი მედია იუწყება, ინაუგურაციის ცერემონიას ასობით ადამიანი დაესწრო, მათ შორის პოლიტიკოსები და საზოგადო მოღვაწეები.

ალექსანდრე ლუკაშენკო პრეზიდენტის მოვალეობების შესრულებას ოფიციალურად მას შემდეგ შეუდგა, რაც ფიცი დადო.

ტრამპი ბაიდენს აბითურებს

აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი მიიჩნევს, რომ პოლიტიკაში ყოფნისას უფრო მეტი გააკეთა, ვიდრე „დემოკრატების“ საპრეზიდენტო კანდიდატმა ჯო ბაიდენმა.

„მთელი ცხოვრება პოლიტიკაშია. 47 წელია პოლიტიკაშია, მე კი ახლახან დავიწყე პოლიტიკაში მოღვაწეობა. თუმცა, 47 თვის განმავლობაში უფრო მეტი გავაკეთე, ვიდრე ბაიდენმა 47 წლის განმავლობაში. ეს სრული ჭეშმარიტებაა“, — განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა პენსილვანიის შტატში სიტყვით გამოსვლისას. დონალდ ტრამპმა ასევე აღნიშნა, რომ ჯო ბაიდენის პროგრამა ენერგეტიკის სფეროში ქვეყანას დამანგრეველ შედეგებს მოუტანს.

ნავალნი კლინიკიდან გაწერეს

რუსი ოპოზიციონერი ალექსეი ნავალნი ბერლინის კლინიკა „შარიტეს“ სტაციონარიდან გაეწერა. ამის შესახებ კლინიკის ოფიციალურ ვებგვერდზეა ნათქვამი.

„პაციენტის მდგომარეობა იმდენად გაუმჯობესდა, რომ მან სტაციონარი დატოვა. ალექსეი ნავალნი „შარიტეში“ 32 დღის განმავლობაში მკურნალობდა, აქედან 24 დღე ის რეანიმაციაში იყო. პაციენტის ამჟამინდელი მდგომარეობის გათვალისწინებით მკურნალი ექიმები თვლიან, რომ მისი სრული გამოჯანმრთელება შესაძლებელია, თუმცა მძიმე მოწამლვის პოტენციური გრძელვადიანი შედეგების შეფასება ჯერ კიდევ ადრეა“.

„ინტერნეტში პრობლემების შემქმნელი“...



რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონთან საუბრისას თქვა, რომ რუს ოპოზიციონერ პოლიტიკოსს ალექსეი ნავალნის, გაურკვეველი მიზეზის გამო, შესაძლოა თავი თვითონ მოეწამლა.

გაზეთი Le Monde-ი არაფერს იუწყება იმასთან დაკავშირებით, თუ ვისზე დაყრდნობით მოიპოვა პუტინისა და მაკრონის საუბრის შესახებ ინფორმაცია. გაზეთის ინფორმაციით, ემანუელ მაკრონმა პუტინთან საუბრისას უარყო მისი ვარაუდი, რომ შესაძლოა ნავალნის თავი თვითონ მოეწამლა.

პუტინსა და მაკრონს შორის სატელეფონო საუბარი ფრანგული მხარის ინიციატივით, 14 სექტემბერს გაიმართა. სატელეფონო დიალოგის დროს, რუსეთის პრეზიდენტმა ნავალნის „ინტერნეტში უბრალოდ პრობლემების შემქმნელი“ უწოდა და თქვა, რომ ანტიკორუფციული ფონდი, რომელიც ოპოზიციონერმა დააარსა, დეპუტატებსა და ოფიციალურ პირებს აშანტაჟებს.

ლიბანი შესაძლოა, დაიშალოს...

ლიბანში მთავრობა დაუყოვნებლივ თუ ვერ ჩამოყალიბდება, ქვეყანა შესაძლოა, ჩამოიშალოს, — ამის შესახებ საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში განაცხადეს.

„ლიბანის ისტორიის ამ გადამწყვეტ მომენტში, ლიბანის პოლიტიკური ძალების წინაშე არის არჩევანი ქვეყნის აღდგენასა და დაშლას შორის. ეს მძიმე პასუხისმგებლობაა ლიბანელების წინაშე“, — აღნიშნა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსპიკერმა აგნეს ფონ დერ მიულმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას. საფრანგეთი ზეწოლას ახდენს ლიბანელ პოლიტიკოსებზე, შექმნან ახალი მთავრობა „გონივრულ ვადებში“, რათა ქვეყანა გამოვიდეს ღრმა კრიზისიდან. პარიზს ახალი ვადა არ დაუდგენია მას შემდეგ, რაც სექტემბრის შუა რიცხვებისთვის განსაზღვრულ პერიოდში მხარეებმა შედეგს ვერ მიაღწიეს. ლიბანის პრეზიდენტმა მიშელ აუნმა პოლიტიკურ ლიდერებს განუცხადა, რომ ქვეყანა ჯოჯოხეთისკენ წავა, თუ ახალი კაბინეტი არ შეიქმნება.

ეშმაკური გულუხვობის ხაფანგი

უახლოეს მომავალში ჩინეთის ხელისუფალნი სახელმწიფოს მართვას ხელოვნური ინტელექტის დახმარებით აპირებენ, — ესაა ავტორიტეტული საერთაშორისო ანალიტიკოსების დასკვნა.

ამჟამად ქვეყანაში სოციალური დაკრედიტების სისტემის (SCS) ტესტირება მიმდინარეობს, რომელიც **მოსახლეობაზე საყოველთაო ელექტრონულ კონტროლს** წარმოადგენს. ახლა მას რამდენიმე დიდ ქალაქში ცდიან. 2020 წლის მიწურულისთვის სისტემა მთელ ცისქვეშეთს მოიცავს. ჩინეთის ყველა მოქალაქე პერსონალურ საიდენტიფიკაციო ნომერს მიიღებს, რის შემდეგაც ხელისუფლებას ვიდეოსათვალთვალო კამერების მეშვეობით, ონლაინ-რეჟიმში თითოეულის ცხოვრების სრული სურათის თვალის გადევნება შეეძლება.

სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ სოციალური დაკრედიტების სისტემის წინაშე რამდენიმე ამოცანა დგას. ესენია, კერძოდ, კორუფციასთან, ნეპოტიზმთან, ტერორიზმთან, ასევე ქუჩაში ჩადენილ დამნაშავეობასთან ბრძოლა...

კიდევ ერთი დანიშნულებაა საზოგადოებაში განწყობების შესახებ ინფორმაციის მიღება — თეზისი **„მონაცემები ჩინოსანთა მოხსენებებს სჯობს“** მოქმედებაში მოვა.

სოციალური დაკრედიტების სისტემის დახმარებით, ჩინეთის ხელისუფლება დღესდღეობით მასობრივად აკონტროლებს მოსახლეობის არა სიტყვას, არამედ ქმედებებს. ეს კი საზოგადოების განწყობის გაანალიზებისა და პროგნოზირების შესაძლებლობას იძლევა. SCS — ესაა სოციალური მართვის, კომპარტიისადმი მოსახლეობის ერთგულების სულისკვეთებით აღზრდის, ასევე ჩინური სოციალიზმის აშენების ეფექტიანი სისტემა, რასაც ხელისუფლება სრულიადაც არ მალავს. მრავალრიცხოვან მონაცემთა დამუშავების საფუძველზე დაყრდნობით, ხელოვნური ინტელექტი ოპერატიულად გამოითვლის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ნებისმიერი მოქალაქის სოციალურ რეიტინგს. კანონმორჩილები ზედმეტ ქულებს, შესაბამისად, პრივილეგიებს მიიღებენ, ნორმების დამრღვევები კი ქულებს დაკარგავენ და მათ სხვადასხვა სასჯელი ელით. ამრიგად, ესაა იძულებასა და წახალისებაზე დაფუძნებული ხელისუფლებისთვის სასურველად ხალხის მოქცევის უზრუნველყოფის მსოფლიოში პირველი გლობალური ინსტრუმენტი.

არადა, სოციალური კრედიტის სისტემა — ეს მხოლოდ აისბერგის მწვერვალია. 2019 წლის ოქტომბერში პეკინში გაიმართა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-4 პლენუმი, რომელმაც მიზნად დასახა **„გლობალურ მართვაში აქტიური მონაწილეობა და კაცობრიობის ერთიანი ბედის მშენებლობაში თანმიმდევრული წვლილის შეტანა“.**

პლენუმის მასალების შესწავლის შედეგად, ავსტრალიის სტრატეგიული პოლიტიკის კიბერპოლიტიკის საერთაშორისო ცენტრის წამყვანმა ანალიტიკოსმა სამანტა ჰოკმანმა გამოიტანა დასკვნა, რომ პეკინი არა მარტო საკუთარი ქვეყნის, არამედ ასევე უახლოესი მეზობლების, შემდგომ კი მთელი მსოფლიოს გარდაქმნისკენ მიისწრაფის! მისი აზრით, მაღალი ტექნოლოგიები (მონაცემთა დიდი ოდენობა, ხელოვნური ინტელექტი, სუპერკომპიუტერები და ა.შ.) — ესაა უბრალოდ საინფორმაციო სივრცეში გაბატონებული მდგომარეობის მოპოვების ხერხი კი არა, არამედ მთელი პლანეტის ჩინური განვითარების რესურსად გადაქცევის საშუალება.

იგივე დასკვნა გამოაქვთ დასავლეთის ქვეყნების სადაზღვევო წრეების წარმომადგენლებსაც: პეკინის ჭეშმარიტი მიზანია არა ქვეყნის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემის დამოკიდებულებისა და ჩინეთში კომუნისტების სამისდღემჩიო ბატონობის უზრუნველყოფა, არამედ ჩინურ ისტორიულ ტრადიციებსა და მსოფლმხედველობაზე დაფუძნებულ ალგორითმულ თარგებზე მთელი მსოფლიოს გარდაქმნა.

საგულისხმოა, რომ ამ დასკვნებს საფუძვლად, სხვა მიზეზთა შორის, ჩინეთის ბოლოდროინდელი არნახული ხელგაშლილობა დაედო, თუმცა კი წინა წლებში ვაჭრობაში მისი მჯობნი ძნელად თუ მოიძებნებოდა 2017 წლიდან მოყოლებული, ჩინეთი თავის მოკავშირეებსა და კლიენტებს მთელ დედამიწაზე უსასყიდლოდ გადასცემს სოციალური დაკრედიტების სისტემისა და მოქალაქეებზე ვიდეოკონტროლის დაწესების ტექნოლოგიებსა და ცალკეულ მოდულებს. ამ ქვეყნების ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია — ნიკარაგუა, ბოლივია, ეკვადორი, ტანზანია, მოზამბიკი, ერიტრეა, ყაზახეთი, ყირგიზეთი... ოღონდ ერთი პირობა აუცილებლად უნდა სრულდებოდეს — სისტემებს თავად ჩინელი სპეციალისტები ემსახურებიან. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩინეთმა ფაქტობრივად დაიწყო სხვა ქვეყნების მოქალაქეთა მოქცევაზე დაკვირვება და კონტროლი.

ჩინეთის სტრატეგია და ტაქტიკა უპირატესად ეფუძნება ირიბ, შეუმჩნეველ და, ამდენად, უფრო ეფექტიან ხელისუფლებას. XXI საუკუნეში პეკინის მიერ დაგეგმილი ალგორითმული ბატონობა, არსებითად, ძველი ხანის ფილოსოფოსის სუნ-ძის ტრაქტატების ციფრული რეალიზებაა, რომელიც, სხვა სამხედრო მოაზროვნეთა დარად, გამარჯვებისკენ მიმავალ გზად შემოვლით ხერხთა გამოყენებას და არა უშუალო დაპირისპირებას გულისხმობდა: **„არა ომის, არამედ ეშმაკობის გზა“**. ამიტომაცაა, რომ ქვეყნის განვითარების მთავარ მიზნად „კაცობრიობისთვის ერთიანი ბედის თანამეგობრობის ჩამოყალიბებას“ ასახელებს.

ეს, მართალია, ერთობ ხანგრძლივი პროცესია, მაგრამ ჩინეთი არ ჩქარობს — ამ ცივილიზაციას ათასწლეულების ისტორია აქვს!

ოთარ ტურაბელიძე

◎ ლეგიონერები

ქართველთა წვლილი

მართალია, ესპანეთის მოქმედი ჩემპიონის — „ბასკონიას“ ქართველი კაპიტანი თორნიკე შენგელია ევროლიგის ასევე მოქმედ ტრიუმფატორ ცსკა-ში გადავიდა, მაგრამ ამით ჩვენი ინტერესი ლიგა-ენდესასადმი ოდნავადაც არ განელებულა, რადგან იქ კარიერას კიდევ ორი „ჯვაროსანი“ — თვით ევროლიგის ორგზის გვირგვინოსანი გიორგი შერმადინი და ბექა ბურჯანაძე აგრძელებენ. თანაც როგორ — ისინი კვლავაც ისე თამაშობენ, რომ თავიანთი კლუბების წარმატებებში ღირსეული წვლილი შეაქვთ.

ამის დასტურად წლევანდელი პირველობის სასტარტო შეხვედრის დასახელებაც კმარა, რომელიც „იბეროსტარ ტენერიფემ“ დამატებით დროში მოუგო „სარაგოსას“ — 91:86.

საგულისხმოა, რომ კუნძულელთა ჩვენებური ლიდერი პარკეტზე ამჯერადაც ერთ-ერთი საუკეთესო

გახლდათ და პარტნიორებს 17 ქულითა და 7 მოხსნით შეეწია.

მეორე ტურში გიოს გუნდი ბასკებს ბილბაოში ეწვევა.

გამარჯვებით ჩაება სეზონში „გრან კანარიაც“, რომელმაც ასევე ოვერტაიმში სძლია „ბილბაოს“ — 107:102 და შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ სწორედ ბექა ბურჯანაძე დასახელდა.

აღსანიშნავია, რომ ჩვენმა თანამემამულემ გადამწყვეტი სამქულიანი დამატებითი დროის ბოლო წუთზე ჩააგდო, ხოლო სულ 36 წუთში(!) 14 ქულა, 5 მოხსნა და 2 პასი მოაგროვა.

ხვალ მეორე ტურში კუნძულელები ნატურალიზებული „ჯვაროსნის“ თად მაკფადენის კლუბს „სან პაბლო ბურგოსს“ ეთამაშებიან.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ევროპა ლიგა

ღირსების მატჩები

ამასაც მოვესწარით: დღეს თბილისის „დინამო“ ევროპა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრას ფარერებზე „კლაკსვიკთან“ გამართავს და გული საგულეში არ გვეტევა — დავძლევთ კი ჩრდილოურ წინაღობას?

წილისყრამ, იცოცხლეთ, გაგვიმართლა, მაგრამ ჯერ ჩემპიონთა ლიგაში ალბანურ „ტირანასთან“ კრახმა — 0:2, ხოლო შემდეგ ამ ტურნირის წინა რაუნდში უმწეო უელსურ „კონაჰისთან“ გაჭირვებით — 1:0 მოპოვებულმა გამარჯვებამ ჩისკო მუნიოსის ბიჭებზე ოპტიმიზმი შეგვირყია — შევძლებთ კი პლეი-ოფში გასვლას, სადაც არანაკლებ სანატრელი მეტოქე გველოდება: მოლდოვურ „შერიფსა“ და ირლანდიურ „დანდალკს“ შორის მოგებული.

რაც შეეხება ჩვენი ქვეყნის მეორე წარმომადგენელს — დედაქალაქის „ლოკომოტივს“, იგი, რომ იტყვიან, საკუთარ თავს უკვე გადაახტა და გიორგი ჭიაბრიშვილის თავკაცობით თითქმის შეუძლებელი შეძლო.

სხვაგვარად ძნელია შეაფასო წინა სტადიებზე კრაიოვას „უნივერსიტატიასა“ (რუმინეთი) და, განსაკუთრებით, მოსკოვის „დინამოს“ (რუსეთი) დაშამათება — ორივე შემთხვევაში 2:1.

დღეს რკინიგზელები ესპანეთში ყოველგვარი ფსიქოლოგიური წნეხისგან თავისუფალნი გამოვლენ მინდორზე პროვინციული „გრანადის“ წინააღმდეგ და, ვინ იცის, იქნებ მორიგი, ძალიან მსუყე სენსაციაც „გამოაცხონ“.

თუმცა, მიუხედავად მომავალი უთანასწორო ბრძოლის შედეგისა, მაინც მადლობა, ბიჭებო!

კობა კობახიძე

◎ გულახდილად

ოჯახმაც, კლუბმაც...

დატოვებს თუ არა „ოქროს ბურთის“ 6-გზის მფლობელი ლეო მესი „ბარსელონას“ — ამ თემამ კორონავირუსის პანდემიის ფონზეც კი მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო და ლამის დაინფიცირებულთა პრობლემატიკაც დაჩრდილა.

რას ვიზამთ, პურისა და სანახაობისა არ იყოს, კაცობრიობას თავშესაქცევად საბაბი სჭირდება და ამჯერად ცხელი ზაფხულის გადასაგორებლად მაშველი რგოლის ფუნქცია, რა თქმა უნდა, უნებლიედ, სწორედ არგენტინელი ვირტუოზის შესაძლო ტრანსფერს დაეკისრა.

მართალია, საბოლოოდ „ინტერის“ ვარიანტიც გამოირიცხა და „მანჩესტერ სიტისაც“ მაგრამ გულშემატკივრის ინტერესი ჯერაც არ ჩამცხრალა და ჩვენც, მოდით, თვით გუნდის 33 წლის კაპიტნის მონოლოგიდან შევიტყოთ, ვის ან რის გამო დარჩა იგი კიდევ ერთი წლით (ვითომ, მეტით არა?) კატალონიაში.

— „როცა წასვლის სურვილი ცოლს — ანტონელა როკუზოსა და შვილებს — 7 წლის ტიაგოს, 4 წლის მატეოსა და 2 წლის ჩიროს გავანდე, სასტიკი დრამის მიზეზად ვიქეცი. მთელმა ოჯახმა ტირილი დაიწყო, რადგან ბავშვებს არ უნდოდათ ქალაქისა და სკოლის გამოცვლა, მაგრამ მე წინ ვიყურები.

დიახ, მინდა წარმატებული კარიერა განვაგრძო და კვლავაც მოვიგო ტიტულები, მათ შორის — ჩემპიონთა ლიგა.

მატეო ჯერ პატარაა და კარგად არ ესმის, რას ნიშნავს სხვაგან გადასახლდე და რამდენიმე წელიწადი ახალ გარემოში იცხოვრო, მაგრამ ტიაგო უფროსია და როცა ტელევიზორში ჩემს შესახებ რაღაცას ყური მოჰკრა, კითხვები გაუჩნდა.

მე, ბუნებრივია, არ მინდოდა მას იძულებითი გადასახლების სიმწარე ეგრძნო, ახალ სკოლაში ახალი ამხანაგების ძებნა დაეწყო და როცა ატირდა, ვუთხარი — კარგი, ნუ წავალთ. მერწმუნეთ, ეს მართლა ძნელი იყო. ჩემთვის ჩემი შვილის მდგომარეობა გასაგებია, რადგან ბავშვობაში გადასახლების სიმწარე საკუთარ თავზე გამოვცადე და ასეთი გადაწყვეტილების მიღება ძალიან რთულია.

მე ბარსელონა მიყვარს და უკეთესი ქალაქის ძებნას აღარ ვაპირებ, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით. და მაინც, ხომ მაქვს არჩევანის სრული უფლება? მინდოდა, ახალი მიზნები დამესახა, ახალ გამოწვევებს შევჭიდებოდი, თუმცა, ისე მოხდა, რომ ისევ ძველ ადგილას მივალ, რადგან აქ ყველაფერი მაქვს: ჩემი ბიჭები აქ დაიბადნენ და ისინი ბარსელონელები არიან. მოკლედ, ვიმეორებ — წასვლაშიც არაფერი იქნებოდა ცუდი. ეს მეც მჭირდებოდა და კლუბსაც. დამივჯერეთ, ეს ყველასათვის კარგი იქნებოდა“.

მოგეხსენებათ, „ბარსელონამ“ მესის გამოსასყიდ თანხად 700(!) მილიონი ევრო გამოაცხადა. თუ ლეო მაინც გაჯიუტდებოდა, რომ მას სხვაგან გადასვლა უფასოდ ეკუთვნოდა, მაშინ საქმე სასამართლოში უნდა გარჩეულიყო.

სამხრეთამერიკელს კი, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ სიმართლეში ეჭვი არ ეპარება და ღრმად სწამს, რომ სხვა გუნდში უკაპიკოდ გადასვლის სრული უფლება აქვს, მისთვის მშობლიურ კატალონიურ გრანდთან სასამართლო დავა უკადრებელ საქციელად მიაჩნია.

— „ტიტულების მოპოვება და „ბარსელონის“ ლეგენდის გაგრძელება მინდოდა. კლუბის ხელმძღვანელობა პრეზიდენტ ბართომეუს თავკაცობით კატასტროფაა. სპორტული პროექტი არ არსებობს და ისინი მხოლოდ ხვრელებს ავსებენ, რომლებიც პერიოდულად ჩნდება.

ჩემპიონთა ლიგაში, შესაძლოა, წააგო — ასეთებიც ხდება, მაგრამ მეტოქისთვის კონკურენციის გაწევა ნებისმიერ შემთხვევაში უნდა შეძლო. ის, რაც უკანასკნელ სეზონებში „რომასთან“ (0:3), „ლივერპულთან“ (0:4) და ლისაბონში „ბაიერნთან“ (2:8) მოხდა, ნორმალური არ გახლავთ.

„ბარსას“ დატოვების გადაწყვეტილებამდე ამ ყველაფერზე ფიქრის შედეგად მივედი. გუნდში თავს ბედნიერად აღარ ვგრძნობდი და წასვლა ამიტომაც მინდოდა. შემდეგ მოხდა ისე, რომ ამის უფლება არ მომცეს. კარგი, დაე, იყოს ასე, დავრჩები, რადგან სასამართლოში დავა არ მინდა, არადა, დარწმუნებული ვარ, რომ წასვლის სრული უფლება მაქვს.

პრეზიდენტს თავისი პირით ბევრჯერ უთქვამს, რომ სეზონის დამთავრების შემდეგ ჩემი გადასაწყვეტი იქნებოდა, წავიდოდი თუ დავრჩებოდი. შემდეგ კი ჩაეჭიდნენ იმ ფაქტს, რომ მე წასვლის სურვილი 10 ივნისამდე არ გამოვთქვი. არადა, 10 ივნისამდე ვერაფრით წავიდოდი, რადგან ამ საშინელი კორონავირუსის პანდემიის გამო პრიმერა-დივიზიონის ჩემპიონატი ჯერ კიდევ გრძელდებოდა და ჩვენ ვინარჩუნებდით გამარჯვების შანსს. აი, ეს გახლავთ მიზეზი, თუ რატომ მიწევს ამ კლუბში დარჩენა.

პრეზიდენტმა მითხრა, რომ ჩემი წასვლის ერთადერთი გზა მყიდველი კლუბის მხრიდან 700 მილიონი ევროს გადახდა იქნებოდა, ეს კი გამორიცხულია.

მთლიანობაში, ბევრი ადამიანის რეალური სახე დავინახე და ძალიან ბევრი მათგანი ყალბი აღმოჩნდა. გულშემატკივართა და ჟურნალისტთა სიტყვებმაც მატკინა გული, რადგან მათ კლუბის მიმართ ჩემს ერთგულებაში შეიტანეს ეჭვი.

და მაინც, მიუხედავად ყველაფრისა, „ბარსელონასადმი“ ჩემი სიყვარული მარადიულია!“

ამ დღეებში ახალი მთავარი მწვრთნელის — რონალდ კუმანის დამოძღვრილი ლეო მესი „ბარსელონაში“ სეზონის პირველ ოფიციალურ მატჩს გამართავს, თუმცა, ერთი ტიტული — გამპერის თასი „ელჩესთან“ უკვე მოიგო — 1:0 (გრიზმანი).

გიორგი შოთაძე

◎ ოკეანის გაღმა

სულით ძლიერნი

ეტყობა, „დენვერს“ კარგად აქვს დაცდილი მეტოქისათვის ნბა-ს პლეი-ოფში ორქულიანი ფორის ფეშქაში.

ასე იყო წინა ეტაპებზე „იუტასა“ და „კლიპერსის“ წინააღმდეგ, როცა სერიები 1:3-დან ამოქაჩა, 4:3 მოიგო და ახლა დასავლეთის კონფერენციის ფინალში თვით ტურნირის უმთავრეს ფავორიტ „ლეიკერსთანაც“ მოვლენების ანალოგიურად განვითარების კონტურები მოიხაზა.

როგორც მოგეხსენებათ, მეორე შეხვედრის უკანასკნელ წამზე ჩაგდებული სამქულიანით დევისმა კალიფორნიელებს მძიმე გამარჯვება მოუტანა — 105:103 და თავისი გუნდის უპირატესობა სოლიდური გახადა — 2:0.

თითქოს ამას ელოდაო, გუშინ გამთენიისას „ნაგეთსი“ მატჩის პირველივე პერიოდიდან აკონტროლებდა ვითარებას და ღირსეულად მიიყვანა საქმე პირველ საპასუხო ჩხვლეტამდე — 114:106 (1:2).

ყველაზე შედეგიანები: მურეი — 28 ქულა, 8 მოხსნა, 12 პასი, გრანტი — 26 ქულა, იოკიჩი — 22 ქულა, 12 მოხსნა („დენვერი“); ლებრონ ჯეიმსი — 30 ქულა, 10 მოხსნა, 11 პასი („ლეიკერსი“) .

რაც შეეხება აღმოსავლეთის კონფერენციის ფინალურ წყვილს, „მაიამი“ ასევე 2:1-ს უგებს „ბოსტონს“.

ბეჟან დოლიძე

ამბავი მიხეილ რამიშვილის ტელეფონისა

თამარ ბაჩალიაშვილის ოჯახის ადვოკატის მიხეილ რამიშვილის მობილურ ტელეფონში მნიშვნელოვანი ინფორმაცია აღმოჩნდა და კითხვებიც სწორედ ამას უკავშირდება. ამის შესახებ პროკურორმა დავით გუმბერიძემ განაცხადა.

მისივე თქმით, სისხლის სამართლის საქმე, რაზეც ეკა ქობესაშვილი და მიხეილ რამიშვილი დაიკითხნენ, მტკიცებულებების ფალსიფიკაციის ფაქტზე მიმდინარე გამოძიებას ეხება.

კერძოდ, მისი თქმით, დაკითხვა იმ ფოტოსურათებს შეეხება, რასთან დაკავშირებითაც დავით ფურცხვანიძე ფიგურირებს.

„ბატონმა მიხეილ რამიშვილმა ფოტოსურათები წარმოგვიდგინა და ფოტოების საქმეზე, როგორც მტკიცებულების დართვა მოითხოვა. ის არ გახლავთ ჟურნალისტი, მედიის წარმომადგენელი, მან როგორც ადვოკატმა, მოიტანა ფოტოსურათები და ჩვენგან მოითხოვა, მოცემულობად მიგვეღო, გარემოება შეგვესწავლა, რადგან ამ ორი ფოტოსურათით დასტურდებოდა, რომ თამარ ბაჩალიაშვილის ავტომანქანა 2020 წლის 19 ივლისს, მაწევანის ტერიტორიაზე არ იმყოფებოდა.

არ მინდა შევაფასო, რომ გარკვეულწილად ცდილობენ, პასუხისმგებლობას გაექცნენ, რადგან ამ საქმეში ჯერჯერობით პასუხისმგებლობის საკითხს, თუნდაც მიხეილ რამიშვილის მიმართ, მიმდინარე გამოძიების მიხედვით არ განვიხილავთ. საქმესთან მიმართებაში ყველა საგამოძიებო მოქმედებას ვატარებთ. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პირის პასუხისმგებლობის საკითხი დადგინდა, ნებისმიერი პირის მიმართ მივიღებთ სამართლებრივ გადაწყვეტილებას.

რამიშვილის ტელეფონში აღმოჩნდა მნიშვნელოვანი მტკიცებულებები, დავით ფურცხვანიძესთან კომუნიკაციის ამსახველი საუბრები, ასევე ის ფოტოსურათები, რომელიც გამოძიებაში წარმოგვიდგინა, რაზეც ექსპერტიზამ დაადგინა, რომ მონტაჟის შედეგად არის მიღებული, შეიცავს ცრუ ინფორმაციას და ყალბია. ასევე აღმოჩნდა სხვა ფოტოსურათები, რომელიც სატელიტის ფოტოებს უკავშირდებოდა. ჩვენ ამ გარემოებებთან გვექნება კითხვები. ასევე დავაზუსტებთ იმ ინფორმაციას, თუ ვინ იყო მის კონტაქტებში ჩაწერილი „ყარაბახად“, რადგან საჯაროდ ბატონი მიხეილ რამიშვილის სხვა განმარტებებს ვისმენთ, თუმცა, ტელეფონის დათვალიერებით დგინდება, რომ გადმომგზავნი პირი, ვინც ჩაწერილი ჰყავდა 2020 წლის 9 სექტემბერს, ამ მოცემულობით კომუნიკაცია ამ პირსა და მიხეილ რამიშვილს შორის არის დავით ფურცხვანიძე.

შემდეგ ვინ შეცვალა, ვინ ჩაწერა კონტაქტად და მიხეილ რამიშვილმა მის ტელეფონში გარკვეულ პირებს რა სახელი დაარქვა, ჩვენი განსახილველი არ არის. დღეის მოცემულობით, ფურცხვანიძე ჩაწერილი ჰყავს, როგორც „დავითი სატელიტები“, მაგრამ მიმოწერით სულ სხვა ფაქტი დგინდება. კომპიუტერისგან მიღებული ინფორმაცია, რაც განვიხილეთ და რაც კონკრეტულად ამ პიროვნებების სატელეფონო ინფორმაციიდან მოვიპოვეთ, რა თქმა უნდა, საფუძველს გვაძლევდა, გვეფიქრა კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევის ფაქტთან და ფალსიფიკაციის ფაქტზე. ეს არის ორი მუხლი, რაზეც პროკურატურა გამოძიებას აწარმოებს. რა ფაქტი დადგინდება გამოძიების შედეგად, ამას საზოგადოება მალე გაიგებს“, — განაცხადა გუმბერიძემ.

ფოინიჭალაში 11 ნარკორეალიზატორი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ფონიჭალაში 11 ნარკორეალიზატორი დააკავა. ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ გიორგი ლილუაშვილმა საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები ნარკოტიკულ საშუალებებს სისტემატურად ყიდდნენ.

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მოსამართლის განჩინების საფუძველზე დაკავებულები არიან: 1986 წელს დაბადებული ნ.ა., 1973 წელს დაბადებული ი.ა., 1987 წელს დაბადებული კ.ა., 1996 წელს დაბადებული ა.გ.,1967 წელს დაბადებული დ.ფ., 1976 წელს დაბადებული ს.გ., 1999 წელს დაბადებული ვ.მ., 1979 წელს დაბადებული ვ.ა., 1971 წელს დაბადებული ფ.ა., 1985 წელს დაბადებული რ.ნ. და 1999 წელს დაბადებული ე.გ. დაკავებულებს ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღება ედებათ ბრალად.

სამართალდამცველებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელეს ბრალდებულებისგან ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეოჩაწერა.

პოლიციამ, დაკავებულების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, ფული და მობილური ტელეფონები ამოიღო.

ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს აუქციონს

მის საკუთრებაში არსებული, OPGW ტიპის ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის/ გვარლის (საკადასტრო კოდი: 32.00.137) თავისუფალი რესურსის, 2 ერთ. ოპტიკური წვერის (ერთი წყვილი) იჯარის ფორმით გაცემის მიზნით

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ, ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ინტერნეტ გვერდზე: www.gse.com.ge და ასევე, www.eauction.ge

საკონტაქტო პირი: გიორგი ოდიშვილი

ტელეფონი: ქალაქის 2-510-281 მობილურის 577 240-233.

შემოდგომის დასაწყისიდან ევროპა COVID-19-ის ახალი ტალღისთვის ემზადება. რას ნიშნავს ეს?

(მეხუთე გვერდიდან)

ინფექციის პირველ ტალღასთან შედარებით, იტალიაში COVID-19 მნიშვნელოვნად „გაახალგაზრდავდა“ — დღეისათვის ინფიცირებულთა საშუალო ასაკი 32 წელია. ეს იგივეა, რაც ესპანეთში ხდება. თუმცა მიმდინარე ზრდაში სასკოლო კომპონენტი გათვალისწინებული ჯერ კიდევ არ არის: საგანმანათლებლო დაწესებულებებმა ფუნქციონირება მხოლოდ ერთი კვირაა, რაც დაიწყეს. ვრცელდება ინფორმაცია, რომ ბოლო დროს იტალიაში ინფიცირებულთა დაახლოებით 17% უცხოეთიდან არის იმპორტირებული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ზრდის ერთ-ერთი მიზეზი ტურისტული სეზონის გახსნა გახდა.

საფრანგეთი: პარიზში გასეირნება მხოლოდ ნიღბით არის შესაძლებელი

13 სექტემბერს საფრანგეთში ახალი კორონავირუსით ინფიცირების 10 561 ახალი შემთხვევა დადასტურდა, რაც გაზაფხულზე პიკის დღეების მონაცემებსაც კი მნიშვნელოვნად აღემატება (მაშინ მაქსიმუმი დაფიქსირდა პირველ აპრილს, როდესაც დღეში 7 578 ადამიანი დაავადდა). რა თქმა უნდა, ეს ჩანაწერი თავისთავად არ ნიშნავს, რომ მდგომარეობა მარტის თვეზე უარესია — მაშინ ქვეყნის მასშტაბით საავადმყოფოები გადატვირთული იყო, დღიურად 3-4 ათასი ადამიანის ჰოსპიტალიზაცია ხდებოდა, ახლა კი 300-400 პაციენტზეა საუბარი. თუმცა ივლისიდან დადებითი ტესტების წილი ისევ გაიზარდა. ის 1-დან 5.4% -მდე მერყეობს.

როგორც ჩანს, საფრანგეთში შემთხვევების ზრდა ესპანეთისა და იტალიის მაგალითისგან დიდად არ განსხვავდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ინფექციის სრულად აღმოფხვრა ვერ მოხერხდა და ძლიერი შემცირების შემდეგ თანდათანობითი მატება დაიწყო.

საფრანგეთში ინფექციის გავრცელებას თუ როგორ უნდა ებრძოლონ, ამის შესახებ გადაწყვეტილებას მეტწილად ადგილობრივი ხელისუფლება იღებს. ამისათვის ფერადი კოდებია შემუშავებული: რეგიონები მწვანედ, ყვითლად და წითლად იყოფა. მაგალითად, ბორდოში, ეპიდემიის გავრცელების დაჩქარების გამო, საზოგადოებრივ ადგილებში ვიზიტორების დასაშვები რაოდენობა კვლავ შემცირდა (5000-დან 1000-მდე), მრავალი ღონისძიება გაუქმდა.

დიდი ბრიტანეთი: ბირმინგემში უკვე კარანტინია, ნიუკასლი და ლივერპული კი „მეთვალყურეობის ქვეშ არიან“

ახალი კორონავირუსით ინფიცირებულთა რაოდენობის ზრდა ინგლისსა და უელსში ჯერ კიდევ ივნისში დაიწყო. შემოდგომის დაწყებამდე ეს ტესტირების მასშტაბის ზრდასთან ასოცირდებოდა. თუმცა სექტემბრის პირველ რიცხვებში ინფექციის გავრცელების ტემპმა მოიმატა. ამის ახსნა კი მხოლოდ ახლად ინფიცირებულთა ეფექტიანი იდენტიფიცირებით უკვე რთული გახდა. სახელმწიფო უწყებებში მომუშავე ეპიდემიოლოგები თვლიან, რომ საგაზაფხულო კარანტინის მოხსნის შემდეგ, ინფიცირებულთა რაოდენობამ ასეთ მაჩვენებელს პირველად მიაღწია. ერთ-ერთმა სამთავრობო ეპიდემიოლოგმა ჯონ ედმუნდსმა 14 სექტემბერს განაცხადა, რომ „მეორე ტალღა გარდაუვალია“.

ეპიდემია დიდ ბრიტანეთშიც აშკარად „გაახალგაზრდავდა“: გაზაფხულის აფეთქებისგან განსხვავებით, ინფიცირებულთა შორის (თითქმის მესამედი) ახალგაზრდები არიან (20-29 წლის ასაკობრივი ჯგუფი, გაზაფხულზე კი პაციენტების უმრავლესობა ხანში შესული იყო). ერთი მხრივ, ეს სიკვდილიანობის მაჩვენებელზე დადებითად მოქმედებს. მთელ დიდ ბრიტანეთში ახალი კორონავირუსით ყოველდღიურად 10-ზე ნაკლები ადამიანი იღუპება. მეორე მხრივ კი, ეს ფაქტორი საგანგაშოც არის: სკოლებსა და უნივერსიტეტებში სასწავლო პროცესის განახლებამ შეიძლება ეპიდემიის გავრცელება დააჩქაროს. შემდეგ კი ახალგაზრდებს „შეუძლიათ ბებიები და ბაბუები დაინფიცირონ“, რაც სიკვდილიანობის ახალ ტალღას გამოიწვევს, შიშობენ მეცნიერები.

შვეიცარია: გაზაფხულზე პირველი ტალღის სწრაფი აღკვეთა და მორიგი „შემოტევა“

ახალი კორონავირუსის პირველი ტალღა შვეიცარიაშიც ისეთივე მასშტაბური და მოულოდნელი იყო, როგორც იტალიაში, საფრანგეთსა და ესპანეთში. თუმცა შვეიცარიელმა ექიმებმა სიტუაციის გაკონტროლება ძალიან სწრაფად შეძლეს. სწორედ ამიტომ ქვეყანაში სიკვდილიანობა მნიშვნელოვნად დაბალი იყო, ვიდრე — ალპების ორივე მხარეს მდებარე მეზობელ ქვეყნებში.

ზაფხულის პერიოდში გამოვლენილი ინფექციების რაოდენობა თანდათან იზრდებოდა. ივნისის პირველ კვირაში ქვეყანაში ასამდე ახალი პაციენტი გამოვლინდა, აგვისტოს ბოლო კვირაში კი უკვე — 1800-ზე მეტი. თუმცა შვეიცარიის ზოგიერთ რეგიონში ინფიცირების მაჩვენებელი შედარებით დაბალია. მათი უმრავლესობა ციურიხისა და ჟენევის კანტონში ფიქსირდება.

დაავადების შემთხვევების სტაბილური ზრდის მიუხედავად, შვეიცარიის ჯანდაცვის სამინისტროში მიიჩნევენ, რომ მეორე ტალღაზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია. უწყების წარმომადგენლები განმარტავენ, რომ ძირითადი რეპროდუქციული საბაზისო მაჩვენებელი კვლავ ერთზე ნაკლებია, ამიტომაც ქვეყანაში შემთხვევათა ექსპონენციალური ზრდა არ აღინიშნება.

სექტემბრის დასაწყისში შვეიცარიის ხელისუფლებამ 1000-ზე მეტი ადამიანის მონაწილეობით მასობრივი ღონისძიებების განახლების შესახებ განაცხადა. თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ორგანიზატორებმა ნებართვა კანტონის ხელისუფლებისგან უნდა მიიღონ. მაყურებლებმა ნიღბები უნდა ატარონ და მხოლოდ თავიანთ ადგილებზე ისხდნენ. ასეთი ღონისძიებებისთვის ადგილების საერთო რაოდენობის 2/3-ზე მეტის გაყიდვა არ შეიძლება.

ეცნობოს გალინა მაკაროვას, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს საქმე № 01021001500113104 4 2/3659/15 გადაწყვეტილების საფუძველზე თანხა მის სასარგებლოდ განთავსდა ნოტარიუს მარიამ კვარაცხელიას სადეპოზიტო ანგარიშზე. სანოტარო ბიუროს მისამართია ქ.ბათუმი, დ. აღმაშენებლის ქ. №10, ბინა №28.

გთხოვთ, მიმართოთ აღნიშნულ ნოტარიუსს.

«სვიან სვანთა» სიდარბაისლე...

ქუთაისში, ნიუ-პორტის ქუჩაზე, წმიდა გიორგის ეკლესიის გვერდით, სადაც აგვისტოდან კედელს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატობის ერთ-ერთი კანდიდატის ნათია ჯიმშელეიშვილის ლექსი ამშვენებს, ამ საინტერესო პროექტის თაოსნის, ნიჭიერი ახალგაზრდა შემოქმედის შალვა კამლაძის წინადადებით მეორე ლექსმაც დაიდო ბინა. მისი ავტორია ღირსების დარბაზისა და იუმორის ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, ქუთაისური სალონური საღამოების თავქალი, პოეტი ირმა ქურასბედიანი. კალიგრაფია ლეილა ბაღბაია, ღონისძიების სპონსორი — ბიზნესმენი ნინო ონიანი. შემთხვევითი არ არის, რომ ლექსს კედლიდან საბურველი ჩამოხსნეს ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა, მეუფე იოანემ და საქართველოს ჩოხოსანთა ქუთაისის ორგანიზაციის თავკაცმა ლევან როხვაძემ, რამეთუ ნაწარმოები მიეძღვნა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს და თავადაც ჩოხოსანი ავტორის თანამებრძოლ საქართველოს ჩოხოსნებს.

საზეიმო შეხვედრის წამყვანი დარეჯან გრძელიშვილი მიკროფონთან სთხოვს ქუთაისის სალონური საღამოების თაოსანს, მრავალმხრივობით გამორჩეულ ოტოლარინგოლოგს და შემოქმედს თემურ ძიძიგურს, რომელმაც სიურპრიზი შემოგვთავაზა — შეასრულა მის მიერვე შექმნილი სიმღერა იმ ლექსზე, რომელმაც რამდენიმე წუთის წინ კედელი დაამშვენა.

გამომსვლელებმა, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებმა ოთარ ჭუმბურიძემ და ომარ ნიშნიანიძემ განსაკუთრებით გაუსვეს ხაზი იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს ერთმანეთის გვერდით განთავსებულ ნათია ჯიმშელეიშვილისა და ირმა ქურასბედიანის კედელზე გაკრულ ლექსებს ილიასეული სამი უწმიდესი ერთობის — მამულის, ენისა და რწმენის განმტკიცებაში.

ამ ფრიად საინტერესო შეკრებაზე სიტყვა ბევრმა წარმოთქვა, მათ შორის სვანეთიდან საგანგებოდ ჩამოსულმა ნიჭიერი პოეტის თაყვანისმცემლებმა და ახლობლებმა.

— ამათ რომ ვუსმენ, ძალაუნერბურად მებადება აზრი, რომ რაღაც კავშირი უნდა არსებობდეს სვანსა და სვიანს შორის! — მეუბნება კორონავირუსის გამო დისტანციურად, ჩემგან ორი მეტრით დაშორებული იურისტი და ცნობილი ნუმიზმატიკოსი გურამ ფილიპაშვილი.

ვერაფერი ვუპასუხე, თუმცა სვიან სვანთა ის სიდარბაისლე, რომელიც მათ გამოარჩევდა, შეუძლებელია, ისევე არ შეგენიშნა, როგორც ის უზარმაზარი ტორტი, შალვა კამლაძეს ქუთაისში პარიზიდან რომ შეუკვეთია, რათა კედელზე გაკრული ლექსივით ტკბილი დღე — უძველესი ქართული კალენდრით ახალი წლის პირველ დღე — ჩვენთვის მოელოცა!

გთავაზობთ ქუთაისში კედელზე გაკრულ ლექსს...

ალექსანდრე შენგელია

საქართველოს პატრიარქს და ქართველ ჩოხოსნებს!

**ქართველ გენს სულ სხვა აქვს
საზომი,
ღვთისშობლის ლოცვით და
წყალობით,
ერს ახლა სჭირდება პატრონი,
გამოდით, მხედრებო, გამოდით!**

**ჩაიცვით ქართული ჩოხები,
გეხუროთ ნამუსის ქუდები,
სამშობლო იმედით მოგელით,
მჯერა, რომ არ დავიღუპებით!**

**ჩემი საოცნებო ერთია,
ერის გაბრწყინების წადილი.
მფარველი უფალი ღმერთია
ჩოხის და ქართული მანდილის.**

**სულში ქარიშხალი ბობოქრობს,
ერთობის იმედით გამთბარი.
მოდის ჩოხოსანთა სამეფოს
შეუდარებელი ლაშქარი.**

**წინ გვიძღვის რჩეული სარდალი,
უზიდავ ტვირთს ზიდავს
ადლიანს.
ერო, შეისმინე მართალი,
მიჰყევი უწმინდეს პატრიარქს!**

ირმა ქურასბედიანი

როდესაც, როცა...



როდესაც კაცი ტანზე ცეცხლს იქრობს,
სილამაზეზე იმ დროს ვერ ფიქრობს.

* * *

როცა ლამაზ ქალს ლეოპარდის ქურქი აცვია,
ცოტათი მაინც ლეოპარდი ჰგონია თავი?..

* * *

როდესაც ჩიტი სწრაფ ფრენაში ჩემპიონია,
თავის კოჭლობას აღარა დარდობს...

* * *

როცა კენგურუ სევდიანია,
მაშინაც ასე დახტის სკუპ-სკუპით?

გურამ პეტრიაშვილი

ტასმანიასთან ვეშაპები გამოირიყა

ავსტრალიის შტატ ტასმანიაში ნაპირზე გამორიყული 470 ვეშაპის გადარჩენას ცდილობენ.

ეს ტასმანიაში ნაპირზე გამორიყული ვეშაპების რეკორდულად მაღალი მაჩვენებელია. ცხოველები შტატის დასავლეთ სანაპიროზე აღმოაჩინეს. ორშაბათიდან მაშველები 250 ძუძუმწოვრის გადარჩენაზე მუშაობენ, თუმცა გუშინ კიდევ 200-ზე მეტი ვეშაპი იპოვეს, რომლებიც პირველი ჯგუფიდან ოდნავ მოშორებით არიან გამორიყული. მათი უმეტესობა უკვე მოკვდა.

რაც შეეხება პირველ ჯგუფს, აქ დაღუპული ცხოველების რაოდენობა 90-ს შეადგენს. მაშველებმა და მოხალისეებმა 25 ცხოველი გადაარჩინეს, თუმცა უმეტესობა ტალღას გამოჰყვა და კვლავ წყალმარჩხობაზე აღმოჩნდა. ამის მიუხედავად სამაშველო ოპერაცია გრძელდება. ჯერჯერობით უცნობია, რამ გამოიწვია ვეშაპების ნაპირზე გამორიყვა.

ყველაზე ვიწრო სახლი - აუქციონზე

უძრავი ქონების სააგენტო Winkworth-მა აუქციონზე გაიტანა სახლი, რომელსაც ლონდონის ყველაზე ვიწრო სახლს უწოდებენ.

სახლის სიგანე 1,8 მეტრია, საერთო ფართობი კი 96 კვადრატული მეტრი. ადრე ამ სახლში შლაპების მაღაზია მდებარეობდა, ახლა კი მასში ხუთსართული აპარტამენტებია მოწყობილი. სახლს აქვს ორი საძინებელი, ორი დიდი მისაღები ოთახი, ორი საპირფარეშო, სამზარეულო, ღია ტერასა და ბაღი.

სახლის მფლობელი ლონდონელი იურისტია, რომელსაც სხვა ქვეყანაში საცხოვრებლად გადასვლა სურს. ლონდონის ყველაზე ვიწრო სახლის ფასი 950 ათასი გირვანქაა (1.2 მილიონი დოლარი).

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა შაბათს, 26 სექტემბერს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.2537; ევრო - 3.8267;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.1787;
100 რუბლი - 4.2850; თურქული ლირა - 0.4256;
აზერბაიჯანული მანათი - 1.9154;
1000 სომხური დრამი - 6.6949.

ამინდი 24 სექტემბრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +8, დღე +27
მთიანი რაიონები - ღამე +9, დღე +29
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +16, დღე +30
მთიანი რაიონები - ღამე +10, დღე +29
თბილისი: ღამე +18, დღე +26

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 239-03-43, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge